გუშინ სამოქალაქო ომს გადავრჩით, მადლობა ღმერთს. დღის წესრიგში ვითარების საბოლოო დამშვიდებაა

გუშინ

გაიმართა მორიგი სატელეფონო საუბარი

14 ნოემბერს გაიმართა მორიგი სატელეფონო საუბარი საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძესა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს შორის.

ვლადიმერ პუტინი კიდევ ერთხელ დაინტერესდა, როგორ ვითარდება სიტუაცია საქართველოში და დაადასტურა, რომ დაინტერესებულია საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნებით.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

ეუთო დაინტერესებულია საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნებით

14 ნოემბერს გაიმართა სატელეფონო საუბარი საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძესა და ეუთოს გენერალურ მდივანს, ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრს იაფ დე ჰოპ სხეფერს შორის.

საუბარი შეეხო საქართველოში არსებულ ვითარებას, ასევე ეუთოს წინასწარ ანგარიშს საქართველოში გამართულ არჩევნებთან დაკავშირებით და მასში გამოთქმულ შენიშვნებს.

აღინიშნა, რომ ახალგაზრდა დემოკრატიის მიერ გასავლელი გზა რთული და წინააღმდეგობებით აღსავსეა. ეუთოს გენერალური მდივანი მიესალმა საქართველოს ხელისუფლების ინიციატივას აქციის ორგანიზატორებთან დიალოგის თაობაზე. ამასთან, განაცხადა, რომ ეუთო მზად არის ხელი შეუწყოს ამ პროცესს, რათა არსებული კრიზისი მშვიდობიანად მოგვარდეს.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

რეაქცია

ლეონიდ კუჩმა: „გარედან ჩაურევლად არ იქნებოდა ის, რაც ახლა საქართველოში ხდება“

„ქართველები უძველესი, ბრძენი ხალხია, ასე ვიცნობ მე მათ, მაგრამ რა გაუკეთეს ქვეყანას? ამაში ხალხი როდია დამნაშავე, არამედ ისინი, რომლებიც ყველა საშუალებით ისწრაფვიან მოვიდნენ ხელისუფლებაში, ხოლო რა იქნება შემდეგ — ეს უკვე არავის აინტერესებს“, — განაცხადა 12 ნოემბერს კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ. „წარმოიდგინეთ, — თქვა შემდეგ უკრაინის ლიდერმა,— რომ დღეს შევარდნაძემ ჩაიქნიოს ხელი და, როგორც იტყვიან, წავიდეს, რა იქნება საქართველოში? რამდენი ომი გადაიტანეს უკვე იქ. საქართველოდან აღარაფერი დარჩება. ვფიქრობ, ასეთი რამ სასარგებლო იყოს საერთოდ მსოფლიოსათვის, კერძოდ კი, საქართველოსათვის, როგორც ჩვენი მეზობლისა და პარტნიორისათვის. მე წუხილით ვადევნებ თვალს, რაც იქ ხდება და მინდა ვუსურვო პრეზიდენტ შევარდნაძეს წარმატებები, რადგან ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ გარედან ჩაურევლად არ იქნებოდა ის, რაც ახლა საქართველოში ხდება. მე არ ვიცი, ვინ არის იგი, მაგრამ ვიცი საკუთარი უკრაინული გამოცდილებით. ჩვენ ყველა გვისურვებს ავაშენოთ დემოკრატიული სახელმწიფო, ჩვენ ორივე ხელით მზადა ვართ ამისათვის, მაგრამ დღეს ჩვენი სახელმწიფოები ძალიან ახალგაზრდა არიან და ჯერ კიდევ მყარი დემოკრატია არა გვაქვს. და როცა ასეთ ახალგაზრდა სახელმწიფოებში კეთდება ასეთი განცხადებები, შესაძლოა ისინი ძალიან მალე გადატყდნენ წელში. მაშინ დემოკრატიიდან მოპირდაპირე სისტემამდე ერთი ნაბიჯია. უნდა ვიფიქროთ, რა შედეგები მოჰყვება ამ მოქმედებას, როცა ვილაც დგას ერთ მხარეს, მხოლოდ ერთ მხარეს უსმენენ და მხოლოდ ისინი არიან მართალი. ყველას უნდა მოვუსმინოთ, სწორედ ამაშია დემოკრატიის შინაარსი“,— ხაზგასმით აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ.

საქინფორმი.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“ ჟღუსჟ ჳჳჳჳ

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს. აღდგენილია 1990 წელს. №308 (4687) შაბათი, 15 ნოემბერი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

ერის გასაგონად

„ყველას მოვუწოდებ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვისწავლოთ, რომ ყველა საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციური გზით, მხოლოდ და მხოლოდ კანონის შესაბამისად“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიმართვა საპროტესტო მიტინგის მონაწილეებისა და საქართველოს მოსახლეობისადმი

2003 წლის 14 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტის წინ გამართული საპროტესტო მიტინგის მონაწილეებსა და საქართველოს მოსახლეობას მიმართა. კერძოდ, მან განაცხადა:

„რესურსი არ ამოწურულა და ყველა საშუალება არსებობს იმისათვის, რომ არავითარ შემთხვევაში არ მივიყვანოთ საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე. თუ მოსახლეობა არ გამოერკვევა და დასკვნას არ გააკეთებს, სამოქალაქო დაპირისპირებიდან სამოქალაქო ომამდე ერთი ნაბიჯია. შეიძლება დრამატიზება არ იყოს აუცილებელი, მე არ ვარ დრამატიზების მომხრე, მაგრამ არც გაიოლება ხაჭირო. არ ვიცი, რამდენ კაცს მოაგროვებენ, რამდენი მოქალაქე მოვა, მაგრამ დიდი მასა რომ შეიკრიბება, მერე ძალიან ძნელია მისი მართვა. თვით ამ ლიდერებმაც რომ ძალიან მოისურვონ, რომ არ გართულდეს, არ გამწვავდეს მდგომარეობა, მერე უკვე მასის მართვა შეუძლებელია. მე მაქვს საფუძველი, რომ ეს ვთქვა.

იხ. მე-2 გვ.

სიმართლე კი ასეთია

კახეთში დესტაბილიზაცია არ შეიმჩნევა

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა გუშინ 15 საათზე გამოაცხადა, რომ თითქოს კახეთის მხარეში შეიმჩნევა დესტაბილიზაცია და თითქოს გადადგა თელავის რაიონის გამგებელი მედეა მეზვრიშვილი.

გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ თითქოს ადგილობრივი ნაცმოძრაობის წარმომადგენელთა ზეწოლით გადადგნენ დაკავებული თანამდებობიდან დედოფლისწყაროსა და გურჯაანის რაიონების გამგებლები, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

მხარეში მდგომარეობა სრულად ექვემდებარება კონტროლს, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს პრეზიდენტის მიმართვამ, საქართველოს მოქალაქეებისადმი.

შესაძლო დესტაბილიზაციაზე მხარეში პასუხს სრულად აგებენ აქციათა ორგანიზატორები.

კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პრესცენტრი.

მიტინგი

„ეს რა ხმები ესმით ჩემთა ყურთა?“

ნაშუადღევის სამი საათია. პარლამენტის შენობისკენ მივუყვები რუსთაველის პროსპექტს. ქალებმა მზესუმზირით, მიწის თხილითა და სიგარეტებით აკოკოლავებული საბავშვო ეტლები ჩაატარეს. მივხვდი, ისინიც მიტინგზე მიდიოდნენ. ოთხ საათზე, სავარაუდოდ, აქ ადამიანები მოჯარდებიან.

მანამ კი ხალხი მეჩხრად დგას და ჯერარნახული ხავერდოვანი რევოლუციის მოლოდინში საუბრით იქცევს თავს.

— ვინც აქ არ მოვა, მისთვის ადგილი არ იქნება მომავალი საქართველოს არც პოლიტიკურ ცხოვრებაში, არც წარმოებაში, — ზუსტად ასე განაცხადა მიკროფონთან მდგარმა დავით ბერძენიშვილმა.

ხალხი თანდათან იკრიბება მიტინგზე (იქნებ მომავალი ადგილების დაკარგვის შიშით?)

ჩემს გვერდით სამი ბიჭი დგას წითელჯვრიანი დროშებით. შუახნის ფაშფაშა ქალი მიეჭრა მათ და სხაპასხუპით ჩამოუარაკა თხოვნა:

— ბიჭებო, ხალხი მელოდება აქციას უნდა შემოვუერთდეთ. დროშები არ გვაქვს და წამოგვყევით!

ერთი პირობა იუარეს ყმაწვილებმა, სხვებს უნდა გავყვეთო.

— არა უშავს, ჯერ ჩვენ გამოგვიძეხით წინ და შემდეგ წადით!

ორ წუთში მიტინგი გაშისკერით შეხვდა კახეთის დელეგაციას.

* * *

მიკროფონთან სიტყვით გამოსვლის მსურველები ერთმანეთს ცვლიან. ერთმა მათგანმა ჯადოსნურ სამყაროში ჩვენი გადაყვანა სცადა: დამარცხებული მხედართმთავარი (ედუარდ შევარდნაძე), მუცლითმეზღაპრე (ვახტანგ რჩეულიშვილი), ბარონი მიუნჰაუზენი (შალვა ნათელაშვილი), კახეთის დედოფალი (მედეა მეზვრიშვილი), — ასე დაანაწილა ბავშვობის ზღაპრებიდან გამოყოლილი სახეები.

იხ. მე-2 გვ.

SIC!

ჯორჯ რობერტსონი: „საქართველო ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა ნატოსათვის“

12 ნოემბერს ნატოს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა სიტყვა წარმოთქვა ვაშინგტონში ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის პოლ ნიცშეს სახელობის საერთაშორისო სწავლებათა სკოლაში, რომელიც მიეძღვნა ჯორჯ მარშალისთვის ნობელის პრემიის გადაცემის ორმოცდაათწლიან იუბილეს.

ჯორჯ რობერტსონის გამოსვლის შემდეგ გამართული კითხვა-პასუხის დროს საქართველოს წარმომადგენლის მიერ დასმულ შეკითხვას, თუ როგორ აფასებს ნატოს გენერალური მდივანი საქართველოს ნატოში გაწევრების პერსპექტივას და რამდენად მნიშვნელოვანია ნატოსათვის საქართველო, ჯორჯ რობერტსონმა უპასუხა:

„საქართველო ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა ნატოსათვის. ამავე დროს, ნატოში გაწევრების მსურველი ნებისმიერი ქვეყნისათვის ჩვენ გვაქვს ძალიან მაღალი მოთხოვნები, იმიტომ, რომ ნატო არ არის სოციალური კლუბი ან საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომლის წევრობაც წარმოადგენს გარანტიას, ერთგვარ პატივისცემას ან საჩუქარს ამა თუ იმ ქვეყნისათვის, ვისაც ალიანსის წევრობა სურს. როდესაც წევრობის მსურველი ქვეყანა მიაღწევს სტანდარტებს, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო შესაძლებლობათა თვალსაზრისით, რაშიც, უწინარესად, ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობაში სრულფასოვანი ინტეგრირება იგულისხმება, აგრეთვე, პოლიტიკური თვალსაზრისით, რაც ნიშნავს დემოკრატიის პრინციპების განმტკიცებას, ეთნიკური პრობლემებისა და მეზობლებთან ურთიერთობის მოგვარებას, მაშინ განიხილება მისი წევრობის საკითხი.

საქართველო აცხადებს, რომ სურს ნატოში გაწევრება და რეფორმების განხორციელება, მაგრამ ეს ერთ ღამეში ვერ მოხდება“.

საქინფორმი.

ინფორმაცია

რუსეთის ელჩს შეხვდა

„საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი დღეს პარტიის ოფისში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილს შეხვდა.

შეხვედრა ელჩის თხოვნით დახურულ კარს მიღმა გაიმართა და შესაბამისად, კომენტარები არც საუბრის დასრულების შემდეგ გაკეთებულა.

როგორც „ინტერ-პრესს“ „ლეიბორისტული პარტიის“ საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსმა გელა დანელიამ განუცხადა, ნათელაშვილთან შეხვედრისას ელჩმა აღნიშნა, რომ რუსეთი დაინტერესებულია საქართველოში მიმდინარე მოვლენების მშვიდობიანი გზით განვითარებაში.

არჩევნების შედეგებზე ქუჩაში არ მსჯელობენ

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი 14 ნოემბერს საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლებს შეხვდა. ძირითად თემას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები და შემდგომ დღეებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები წარმოადგენდა. შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ტორდენ პოლთზემ განაცხადა, რომ ეს არჩევნები, ყველა სხვა არჩევნებთან შედარებით, მიუხედავად სერიოზული დარღვევებისა, უფრო დემოკრატიულად ჩატარდა. რაც შეეხება პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებს, ასეთი გზით პრობლემების გადაწყვეტა არაკონსტიტუციურია.

არასტაბილურობა ეკონომიკის სარკეში

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 13 ნოემბრის განცხადებაში, რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება ბოლო დროს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობის გამო, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე, შემოსავლებზე, იმპორტზე და ა.შ., კერძოდ, აღნიშნულია, რომ წინა თვესთან შედარებით, ნოემბრის პირველ დეკადაში ხორცი და ხორცის პროდუქტები საქართველოში შემოიტანეს 10-ჯერ ნაკლები, თევზი და ზღვის პროდუქტები — 26-ჯერ ნაკლები, ნავთობი და მისი გამოხდის პროდუქტები — 2-ჯერ ნაკლები, ელექტრონული მანქანები და ტექნოლოგიური მოწყობილობები 2-ჯერ ნაკლები. გარდა ამისა, მნიშვნელოვნადაა შემცირებული რძის პროდუქციის, ფრინველის, კვერცხის, ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების, ყავის, ჩაის, სანელებლების, პურეული მარცვლოვანების, ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ცხიმებისა და ზეთის, ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის შემოზიდვა.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.

სიტუაცია

ფოთის პორტი: ზარალი დღითი დღე იზრდება

არა მგონია, ვინმე გულგრილი იყოს იმ მოვლენების მიმართ, რაც დღეს საქართველოში ხდება. ჩემი აზრით, არჩევნები მხოლოდ მიზეზი გახდა, რათა მოუთოკავ ოპოზიციას თავისი ბრჭყალები გამოეჩინა. პირდაპირ გამაოგნებელია მათი მოწოდებები — არ გადაიხადოთ გადასახადები, არ წახვიდეთ ხელისუფლებასთან დიალოგზე, გამოუცხადეთ სრული უნდობლობა პრეზიდენტს, ჩამოდით, ჩამოდით თბილისში!

იხ. მე-3 გვ.

უკანასკნელ საათს

აშშ ავიაცია პარტიზანებს ბომბავს ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტის რაიონში. ავიადარტყმები უკვე სამი დღეა გრძელდება აშშ არმიის ჩარჩოებში, სახელწოდებით „რკინის ურო“.

„ფაინენშელ ტაიმსი“ წერს, პრეზიდენტი პუტინი სულ უფრო ემსგავსება დიქტატორ სტალინს, უკვე ნახევარი საუკუნეა ასეთი პოპულარული ლიდერი რუსეთს არ ჰყოლიათ. რუსეთის პრეზიდენტს სტალინთან თურმე სხვა რამეც ამსგავსებს: სტალინის დროს ჩეჩნები იხოცებოდნენ ციმბირში გადასახლების დროს, პუტინის დროს კი მათ ომში ხოცავენ.

ამინდი დღეს

თბილისი	მცირე მოღრ. უნალექოდ	ღამით +1, დღისით +7
ბათუმი	მცირე მოღრ. უნალექოდ	ღამით +4, დღისით +10
სოხუმი	მცირე მოღრ. უნალექოდ	ღამით +4, დღისით +10
ფოთი	მცირე მოღრ. უნალექოდ	ღამით +4, დღისით +10
ქუთაისი	მცირე მოღრ. უნალექოდ	ღამით +3, დღისით +9
გორი	მცირე მოღრ. უნალექოდ	ღამით +1, დღისით +7
თელავი	მცირე მოღრ. უნალექოდ	ღამით +1, დღისით +7

ლარის კურსი

15 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.7384	ლარი
აშშ დოლარი	1	2.2275	ლარი
ევრო	1	2.6004	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0746	ლარი.

ინტერპანორამა

ნიუ-იორკის ყველა სკოლაში აიკრძალა მობილური ტელეფონები. აკრძალვის იდეოლოგი გახდა ნიუ-იორკის ყოფილი მერი ჯულიანი. ყველა ტელეფონი, რომელსაც კი მოსწავლეებს აღმოუჩენენ, ჩამოერთმევათ. ამას იმით ხსნიან, რომ მობილური ტელეფონები მოსწავლეებს ყურადღებას უფანტავს. ამ გადაწყვეტილებას მშობელთა აღშფოთება მოჰყვა.



ჩინეთის აღმოსავლეთ პროვინცია ძიანსის ერთ-ერთ მაღაროში გაზი აფეთქდა. დაიღუპა 48 მაღაროელი. 2003 წლის დასაწყისიდან მაღაროებში ინციდენტებმა 4620 მაღაროელი იმსხვერპლა.

ცნობილი გახდა „ალ-ყაიდას“ მთავარი ფინანსისტის სახელი. აქამდე სპეცსამსახურებმა ამ კაცის მხოლოდ ფსევდონიმი იცოდნენ — შეიხ საიდი. მისი ნამდვილი გვარი ყოფილა მუსტაფა აბულ იაზიდი. იგი ეროვნებით ეგვიპტელია, ადრე გადიოდა ეგვიპტის პრეზიდენტის ანვარ სადათის მკვლელობის საქმეში 1981 წელს.



გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვცხოვრობ თბილისში. მყავს ოთხი შვილი. გავიგე, რომ მრავალშვილიან დედებს ეძლევათ ყოველთვიური სოციალური დახმარება, მაგრამ კარგად არა ვარ გარკვეული — კონკრეტულად ვის ეკუთვნის იგი. თუ შეიძლება თქვენი გაზეთის მეშვეობით განმარტოთ აღნიშნულის შესახებ.

შორენა აბულაძე.

— ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 13 თებერვლის დადგენილებით, დედაქალაქში მუდმივად მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, (მათ შორის დევნილებს), რომელთაც ჰყავთ სამი, ოთხი, ხუთი ან ექვსი 18 წლამდე ასაკის შვილი, ენიშნებათ ყოველთვიური სოციალური დახმარება თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე 5 ლარის ოდენობით თვეში.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

ერის გასაგონად

„ყველას მოვუწოდებ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვისწავლოთ, რომ ყველა საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციური გზით, მხოლოდ და მხოლოდ კანონის შესაბამისად“

პირველი გვერდიდან

დამოუკიდებლობის ამ თორმეტი წლის განმავლობაში, როცა მე დავბრუნდი საქართველოში, როგორც იტყვიან, ყველაფერმა ჩემს თვალწინ ჩაიარა. მე დღეს არა მაქვს უფლება, არ ვთქვა, რომ ის, რაც გადაიტანა საქართველომ, თეორიულადაც კი არ უნდა დავუშვათ, რომ შეიძლება განმეორდეს. გახსოვთ სამოქალაქო ომის ორი ტალღა — გაჩანაგებული, დანგრეული თბილისი, პარლამენტი, პირველი სკოლა... დაინგრა ერთი სასტუმრო, მეორე, მხატვართა სახლიდან არაფერი დარჩა... კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამეგრელოში, სადაც ჩასვლა შეუძლებელი იყო. მე თვითონ გამოვცადე ეს ყველაფერი. გავიარეთ ეს ეტაპები. ამას დაუმატეთ სისხლიანი კონფლიქტები, რომელთა თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელი იყო, განსაკუთრებით ქართულ-ოსური კონფლიქტისა, რომელიც, სამწუხაროდ, ხელისუფლების მიერ იყო პროვოცირებული. დღეს აფხაზეთი დაბრუნებული არ არის, ცხინვალშიც იგივე მდგომარეობაა. გვაქვს უფლება, რომ ისევ სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიყვანოთ საქმე?! რის გაკეთებაც შეიძლებოდა, რომ სახელმწიფო სახელმწიფოს დამსგავსებოდა, გაკეთდა. დღეს უკვე გვაქვს დამოუკიდებელი სახელმწიფო. არავინ გვედავება იმაში, რომ ეს არის დემოკრატიული სახელმწიფო. შეიძლება იდეალურად არ არის ყველაფერი, მათ შორის, არჩევნები, მაგრამ ეს არის დემოკრატიული სახელმწიფო. ამიტომ მიგვიღეს ევროსაბჭოში, ამიტომ გავხდით მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, და ვემზადებით იმისათვის, რომ ევროკავშირში შევიდეთ, ნატოს წევრი გავხდეთ. არ ვიცი, როდის იქნება, მაგრამ ყველაფერი მზადდება ამისათვის.

შევქმენით შეიარაღებული ძალები. ვამაყობ, რომ ასეთი დონის შეიარაღებული ძალებია საქართველოში. ეს ჩვენი ამერიკელი მეგობრების დახმარებით მოხდა. 60–63 მილიონი დოლარი იხარჯება ყოველწლიურად იმისათვის, რომ საქართველოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შეიარაღებული ძალები ჰყავდეს. მათივე დახმარებით შევქმენით სასაზღვრო ნაწილები. საქართველოს საზღვრები დღეს დაცულია. თქვენ გახსოვთ პანკისის პრობლემები, პანკისის ტრაგედია. ეს ტრაგედია აღარ განმეორდება არასდროს, რადგან დასკვნები გამოვიტანეთ. პანკისში მშვიდობაა და მშვიდობა იქნება, და არა მარტო პანკისში. ბევრს სურდა, რომ შემოსულიყვნენ პანკისში, შემდეგ კახეთში, რა ძალებიც შემოდიოდა, იცით, მაგრამ ჩვენ ეს არ დავუშვით. ჩეჩნებთანაც კი, 600–700 ბოევიკთან, გამოვძებნეთ საერთო ენა. სიტყვა შეასრულეს. ვუთხარით, რომ მოვიდა დრო და თქვენ უნდა წახვიდეთ თქვენს სახლებში, თქვენს ქვეყანაში. მართლა წავიდნენ. ბევრიც დაიღუპა.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, თუ ადამიანები ერთმანეთს გაუგებენ. თუკი ჩვენ და ჩეჩნებმა გავუგეთ ერთმანეთს, რატომ არ შეიძლება ქართველებმა გაუგონ ერთმანეთს, მით უმეტეს, ისეთ დროს, როცა ქვეყანა, ასე თუ ისე, აღმავლობის გზაზეა.

ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობა დაიწყო. ამუშავდა პროექტები, რომლებზეც ამდენი წლის განმავლობაში ვლაპარაკობდით, ვმუშაობდით ჩვენს აზერბაიჯანელ მეგობრებთან, თურქებთან, ამერიკელებთან, უდიდეს გრანდიოზულ ფირმებთან ერთად. ბაქო–თბილისი–ჯეიჰანი შენდება, უზარმაზარი ფული ტრიალებს, მოსახლეობა სარგებლობს ამით. წელიწადნახევარში გაზსადენის მშენებლობა დაიწყება. საქართველოს სრული გაზიფიცირების პერსპექტივაა. რუსეთიდან ვიღებთ გაზს, ენერგეტიკული პრობლემები ყველგან არა, მაგრამ, ძირითადად, მოგვარებულია, დედაქალაქი მაინც უზრუნველყოფილია. ყველაფერი ეს შეიძლება დაიკარგოს. უამრავი უცხოელი ინვესტორი მუშაობს საქართველოში. ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ბევრი მათგანი არა მარტო თბილისში, გნებავთ, სამეგრელოში, იმერეთში, კახეთში ეჭვის ქვეშ აყენებს თავის გადაწყვეტილებას, სწორი იყო თუ არა, რომ ჩამოვიდნენ საქართველოში. არის ეს სტაბილური ქვეყანა თუ არა? გეუბნებით, ყველა მათგანი დატოვებს საქართველოს. საქართველოში ბიზნესმენების ფენა შეიქმნა. ეს უკვე საკუთარი ბიზნესმენები არიან. ბევრ მათგანს იცნობთ, ზოგი რუსთაველის, მარჯანიშვილის, თუმანიშვილის თეატრებს არემონტებს და მოჰყავს წესრიგში, ზოგმა ცირკი განაახლა, ბევრ ადამიანს ეხმარებიან. ეს არის ქართული ბიზნესი. ყველაფერი დაიკარგება, თუ ჩვენ ერთმანეთს დავერევით.

კიდევ ვიმეორებ, როცა ასეთი მასა შეიკრიბება, მისი მართვა ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელია. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ერთ სიტყვას იტყვის, ხელს აიქნევს და ეს მასა ისე მოიქცევა, როგორც თვითონ უნდა, ტყუილია. ასე არ გამოვა. ზოგი ნასვამი მივა, ზოგი პროვოკატორი, ზოგი ქვეყნისათვის ავისმოსურნე და ა.შ. მე ძალიან კარგად მახსოვს, რა გადავიტანეთ დედაენასთან დაკავშირებით. მაშინ მთელ სტუდენტობასთან, ინტელიგენციასთან გამოვძებნეთ საერთო ენა და გადავარჩინეთ დედაენა. ძეგლიც დავუდგით. არ ვიცი, მსოფლიოში არის თუ არა სხვა ქვეყანა, სადაც დედაენას ძეგლი დაუდგეს. მახსოვს, როგორ იყო ეს ყველაფერი. ათიათასობით ახალგაზრდა და მთელი ინტელიგენცია იდგა რუსთაველის გამზირზე. მაშინ ისე, რომ არავისთან შემითანხმებია, გამოვაცხადე, რომ ქართული ენა რჩება სახელმწიფო ენად. დამიჯერეს ახალგაზრდებმა და უბედურება ავიცილეთ თავიდან. რომ დავბრუნდი, ეზო ტანკებით იყო სავსე. მე ეს არ ვიცოდი, მოულოდნელობა იყო, არც უკითხავთ, ისე შემოიყვანეს ტანკები. ეჭვიგი, სისხლი უნდა დაღვრილიყო ვითომ ხელისუფლების დახმარების მიზნით. მაგრამ ღმერთმა შეგვაძლებინა, რომ საერთო ენა მოვძებნეთ იმ ადამიანებთან, რომლებიც იქ მოვიდნენ.

მე ძალიან კარგად მახსოვს სტადიონი. ფეხბურთი ფეხბურთია, შეიძლება ბევრი სერიოზულად არც უყურებს, მაგრამ უბედურება იყო მოსალოდნელი. წამოვიდა ქვების, ჯოხების წვიმა, ხმები გავრცელდა, რომ მსაჯი არის ტრიბუნაზე. რა გამოსავალი იყო. ავდექი, ჩავედი და შევერიე ამ ახალგაზრდებს, დავარწმუნე, რომ დაინიშნება დამატებითი მატჩი. გამომყვნენ, დამიჯერეს და გადარჩა მაშინ საქართველო, ყოველ შემთხვევაში, ის ახალგაზრდობა, ის მაყურებელი გადარჩა. სისხლი დაიღვრებოდა. მაშინ, სხვათა შორის, უშიშროების უფროსი იქ უნდა ყოფილიყო, გავიხედ-გამოვიხედე და იქ არ არის, თურმე წავიდა და თავის საქმეს აკეთებს, უნდა გამოეშალა ვიღაც-ვიღაცები და ტექნიკა უნდა გამოეყვანა.

არ შეიძლება ასეთ ამბებთან ხუმრობა და იოლად წარმოდგენა, რომ ყველაფერი კარგად ჩატარდება. მე მომხრე ვარ დიალოგის, მომხრე ვარ ნორმალური ურთიერთობის, არავისთან შეხვედრის არც მეშინია და არც მრცხვენია. ერთხელ შევხვდი, მეორედ თვითონ არ მოვიდნენ. ორსაათნახევრის განმავლობაში ველოდებოდით. ერთი უკანონობაც ჩავიდინე. მათი თხოვნით უნდა მოსულიყო ქალბატონი ნანა დევდარიანი, ცესკოს თავმჯდომარე. არ მქონდა უფლება, რომ მეთხოვა მისთვის, რადგან ეს არის სრულიად დამოუკიდებელი სტრუქტურა. ანგარიში გაგვიწია და მოვიდა. ჩვენთან ერთად იყო 2–2,5 საათის განმავლობაში. ველოდით და არ მოვიდნენ. დღესაც მზად ვარ, შევხვდე, ვისაც უნდა. ბატონ ზურაბთან შეიძლება საუბარი, ქალბატონ ნინოსთან შეიძლება, წუხელ მძიმე რაღაცები ილაპარაკა ტელევიზიით, მაგრამ ამის მიხედვით არ ვმსჯელობ, შეიძლება თუ არა საუბარი და საერთო ენის მოძებნა. თვით „მთავარსარდალთანაც“, იცით, ვინც მყავს მხედველობაში... მე ვუთხარი, შენ აღარ დაგელაპარაკები-მეთქი, რადგან შეურაცხყოფა მომაყენა. მაგრამ დაველაპარაკები, ოღონდ არ იყოს სამოქალაქო დაპირისპირება.

გარდა იმისა, რომ კრწანისში შევხვდი და მერე აქ ველოდებოდი, მე თვითონაც მივედი იქ, აღელვებულ და ამღვრეულ მასასთან. იყო შეძახილები: წადი, გადადექი, მოგვცილდი... აფრიალებდნენ დროშებს... ცოტა გავუძელი, ვნახე 10–15–20 სერიოზული კაცი და მათ დაველაპარაკე. ვინ მაიძულებდა, რომ იქ მივსულიყავი. მთელ მსოფლიოში გახმაურდა ეს ამბავი. არ არის მეორე პრეზიდენტი, რომელიც ასეთ სიტუაციაში მივა აღელვებულ ადამიანებთან (მე არ ვკადრებ სხვა სიტყვას), რომლებიც მოითხოვენ, პრეზიდენტი გადადგეს ან განადგურდეს და მოისპოს.

მე მინდა დავამთავრო იმით, რომ კვლავაც მზად ვარ, ვისაც საჭიროა შევხვდე. ვინც უნდათ, ის მოიყვანონ, ოღონდ თავიდან ავიცილოთ სამოქალაქო დაპირისპირება.

ძვირფასო თბილისელებო, ძვირფასო მეგობრებო, საქართველოს მოქალაქენო, შეიძლება ზოგიერთი ჩამოსვლას აპირებს. არაფერი სეირის საყურებელი აქ არ იქნება, არავითარი თეატრალიზებული დადგმა არ იქნება. ეს იქნება ძალიან ცუდი დასაწყისი იმისა, რაც შეიძლება გველოდებოდეს. ამიტომ ყველას მოგიწოდებთ, ყველამ თავისი საქმე აკეთოს, ყველა თავის სახლში ან სასწავლებელში დაბრუნდეს. მეუბნებიან, თითქოს ათიათასობით და ასიათასობით ადამიანი უნდა შეკრიბონ. შეიძლება ვერაფერი ვერ შეკრიბონ, მაგრამ ხომ არის თეორიული შესაძლებლობა. მე კიდევ მოვუწოდებ ყველას, იყავით მშვიდად, ნერვები დაიწყნარეთ და იმოქმედეთ თქვენი სამშობლოს, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენში დაიწყო ეკონომიკური აღმავლობა. მჯერა, მოგვარდება პენსიების და ხელფასების პრობლემა. ხომ დაიწყო ხელფასების მატება, პედაგოგებს ორჯერ გავუზარდეთ ხელფასი, პროფესორ-მასწავლებლებსაც. სტუდენტობას შევხვდი წუხელ. შესანიშნავი ახალგაზრდები არიან. ბევრი რამ ისეთი მითხრეს, რაც ჩემთვის სასიამოვნო არ იყო, მაგრამ მითხრეს მთელი გულწრფელობით. მაგრამ ისიც მითხრეს, რომ ამის დაშვება შეუძლებელია. ბატონი გია ყარყარაშვილი, თავისი თანამებრძოლებით — ყველას იცნობ — ორჯერ იყო აფხაზეთში. რით დამთავრდა მისი იქ ყოფნა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორია, ყველამ ძალიან კარგად იცით. მან მოუწოდა თავის თანამებრძოლებს, რომ შეიკრიბონ და მოილაპარაკონ, როგორ მოიქცნენ. ისინი აცხადებენ: ჩვენ არ დავუშვებთ არასტაბილურობას საქართველოში. ისინი მეომრები არიან, ყოფილი მეომრები. ახლანდელი მეომრებიც მზად არიან გააკეთონ ის, რაც საჭიროა და საქართველოს ინტერესებს შეესაბამება.

ყველას მოვუწოდებ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვისწავლოთ, რომ ყველა საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციური გზით, მხოლოდ და მხოლოდ კანონის შესაბამისად. როგორც კი ამ გზას გადავუხვევთ, მაშინ შეიძლება მივიღოთ არა მარტო სამოქალაქო დაპირისპირება, სამოქალაქო ომიც კი. მე არავის ვაშინებ. მე თვითონ არ ვარ შეშინებული, თქვენ ეს ძალიან კარგად იცით. არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ, მაგრამ მეორე მხარემაც ხომ უნდა მოინდომოს. ამიტომ მივმართავ: მოინდომეთ, ნუ დაუშვებთ სამოქალაქო დაპირისპირებას. მერე შეიძლება ცუდი ამბები მოხდეს.

ვაფრთხილებ, ყველას ვთხოვ, ყველას მოვუწოდებ, დიდი უმრავლესობა შვილებად, შვილიშვილებად მეკუთვნით, უნდა დამიჯეროთ, არ შეიძლება ამის გაკეთება და სანამ პირში სული მიდგას, სანამ მართლაც კანონიერი პრეზიდენტი ვარ, არ დავუშვებ იმას, რომ საზოგადოება ორად გაიხლიჩოს, ამას მოჰყვეს სამოქალაქო დაპირისპირება და მერე სამოქალაქო ომი. რეალური საფრთხეა. არავის ვაშინებ, უბრალოდ, ვამბობ სინამდვილეს. სანამ გვიან არ არის, გონს მოვეგოთ“.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

პრეზიდენტი

„თურქეთი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული საქართველოში სტაბილური სიტუაციის შენარჩუნებით“

— განაცხადა 14 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრისას თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში დიჯლე ქოფუზმა.

მან განაცხადა, რომ თურქეთის ხელისუფლება შეშფოთებით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს და გამოთქვამს რწმენას, რომ საქართველოს ხელისუფლება, პირადად მისი პრეზიდენტი მოკლე დროში მოაგვარებს პრობლემას.

„საქართველო თურქეთის სტრატეგიული პარტნიორია და გვსურს, რომ ერთობლივად დაწყებულ გიგანტურ პროექტებს საფრთხე არ შეექმნას. მოვედი, რათა გამოვხატო თურქეთის ხელისუფლების სრული მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლებისადმი. ჩემი ქვეყნის პოზიცია მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული თურქეთის მთავრობის განცხადებაში, რომელსაც გადმოგცემთ როგორც თქვენ, ასევე მიტინგის ორგანიზატორი ოპოზიციური პარტიების ლიდერებსაც,“— აღნიშნა ელჩმა და ედუარდ შევარდნაძეს გადასცა თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის განცხადება.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაიხადა მეზობელი ქვეყნის მხრიდან გამოჩენილი გულისხმიერებისათვის და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ განვლილ პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად მეზობელ თურქეთთან ძმური ურთიერთობის ჩამოყალიბება მიიჩნია.

მან ისაუბრა იმ ნაბიჯებზე, რომელიც ხელისუფლების მხრიდან გადაიდგა ოპოზიციურ პარტიებთან კომპრომისის მოსაძებნად.

„დარწმუნებული იყავით, რომ ყველაფერს ვიღონებთ პრობლემის დროულად მოსაგვარებლად. ჩვენ კარგად ვიცით, რას ნიშნავს კომპრომისი, ეს ნიშნავს დათმობას ორივე მხრიდან. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ჩვენი ოპონენტები მოლაპარაკებაზე არ მოდიან,“ — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

მან ისაუბრა 2 ნოემბრის არჩევნებზეც და აცნობა ელჩს, რომ ცესკო მალე დაასრულებს ხმის დათვლის პროცედურას, 20 ნოემბერს კი, სავარაუდოდ, ახალი პარლამენტი პირველ სხდომაზე შეიკრიბება.

ქვეყნის მეთაურმა კიდევ ერთხელ გადაიხადა მადლობა თურქეთის მხრიდან გამოჩენილი თანადგომისათვის და დასძინა რომ, როდესაც საქართველოში [illegible]

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

თურქეთის მთავრობის განცხადება

თურქეთს გულითადად სურს, რათა 2003 წლის 2 ნოემბრის საქართველოში გამართული პარლამენტის არჩევნების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა მეზობელი ქვეყნის კეთილდღეობაზე, რომელთანაც ჩვენ გვაქვს არაჩვეულებრივი ურთიერთობა [illegible] მშვიდობა და ერთობა მეგობარ საქართველოში.

თურქეთს სწამს, რომ პოლიტიკური [illegible] ქართველო უმოკლეს დროში შეძლებს [illegible] გადაჭრას და კვლავაც განაგრძობს [illegible] ვითარებას.

მე ვიტყვი სიმართლეს!

ვინ იყო თვითმფრინავის საიდუმლო მგზავრი?

პოლიტიკური გაერთიანება „ერთობის“ ლიდერმა ჯუმბერ პატიაშვილმა 14 წლის დუმილის შემდეგ, გუშინწინ განცხადება გააკეთა, რომელიც მასმედიამ „სენსაციად“ წარმოუჩინა საზოგადოებას, კერძოდ, იმის შესახებ, რომ 1989 წლის 8 აპრილს, ტრაგიკული 9 აპრილის წინა დღეს, თბილისის აეროპორტში ჩამოფრინდა თვითმფრინავი, რომელშიც სავარაუდოდ იჯდა სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრი, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. სავარაუდოდ იმიტომ, რომ იმ თვითმფრინავში ედუარდ შევარდნაძის უეჭველ ყოფნას ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი ვერ ამტკიცებს. მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს. და მინიშნებას აკეთებს გივი გუმბარიძეზე, მაშინ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეზე, რომელიც თვითმფრინავის საიდუმლო მგზავრს შეხვდა.

სამაგიეროდ, ამ საიდუმლო მგზავრს ასახელებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამებრო სამმართველოს იმდროინდელი უფროსი, გადამდგარი პოლკოვნიკი ტარიელ მარდანაშვილი, რომელიც ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია.

— არავითარი „სენსაციური“ ამ ცნობაში არ არის. ბატონ ჯუმბერს ეს თვითმფრინავი, რამდენადაც მახსოვს, ადრეც უხსენებია, მაგრამ თუ ვინ იჯდა მასში, არ უთქვამს. მან ამჯერადაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საკითხი, გივი გუმბარიძემ და თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრებმა გასცენ ამ კითხვას პასუხიო.

მე შემიძლია პირდაპირ გითხრათ: შევარდნაძე იმ თვითმფრინავში არ იჯდა და არც შეიძლებოდა მჯდარიყო. მე, ჩემი მაშინდელი თანამდებობის გამო, მხილველი ვარ თითქმის ყველა ნიუანსისა, რაც დაკავშირებული იყო 9 აპრილთან. მათ შორის, ისიც ვიცოდი, რომ 8 აპრილს რაღაც თვითმფრინავი [illegible]

ადრე ემზადებოდნენ ხოლმე მის მისაღებად, რა თქმა უნდა, უხმაუროდ, კონსპირაციულად. მოკლედ, თბილისში ამ რაზმის თვითმფრინავი არ დამჯდარა.

— მაშ რა თვითმფრინავი გვესტუმრა და ვინ იჯდა მასში?

— გადაჭრით და პირდაპირ შემიძლია ვთქვა: ამ თვითმფრინავში იჯდა საკავშირო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი ფილიპ დენისოვიჩ ბობკოვი. [illegible]

— გუმბარიძესთან ერთად ვინ ავიდა თვითმფრინავში, მაგალითად, ამიერკავკასიის ჯარების სარდალი, გენერალი როდიონოვი არ მისულა?

— არა, როდიონოვი არ მისულა. ან რა საქმე უნდა ჰქონოდა ამიერკავკასიის ჯარების სარდალს სუკ-ის თავმჯდომარის მოადგილესთან?! როდიონოვი საერთოდ წინააღმდეგი იყო, რომ მიტინგი არმიას დაეშალა. იგი აცხადებდა, ეს თავდაცვის სამინისტროს კი არა, [illegible] აციების ალკვეთისა და პროფილაქტიკის შტაბი. ჩვენში ამ შტაბს თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე. ეს შტაბი (მე მისი წევრი ვიყავი) ერთხელაც არ შეკრებილა. არ მოუსმენია ჩვენი აზრი. არადა, დასაწყისში დიალოგით კიდევ შეიძლებოდა მდგომარეობის გამოსწორება. გუმბარიძე და საქართველოს კპ ცკ მეორე მდივანი ნიკოლსკი ერთობლივად ძაბავდნენ სიტუაციას მოსკოვში გაგზავნილი ტელეგრამებით. გუმბარიძემ თავი აარიდა თავისი უშუალო მოვალეობის შესრულებას. სხვა რომ არაფერი, ტრაგედიამდე რაღაც ერთი საათით ადრე მთელი სუკი... დაითხოვა, შინ გაუშვა.

მიტინგის დაშლის გეგმა, რომელიც 30 წუთზე (?) იყო გათვლილი, არაპროფესიულად გახლდათ შედგენილი. ის რომ უშიშროების კომიტეტში შეედგინათ, 9 აპრილს მსხვერპლი არ მოყვებოდა. გუმბარიძეს შტაბში რომ მოეტანა ის გეგმა, ყველა ვეტყოდით, რომ იმ ჩაკეტილი მოედნის 30 წუთში გათავისუფლება შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ, [illegible]

ალეკო ასლანიშვილი.

მიტინგი

„ეს რა ხმები ესმით ჩემთა ყურთა?“

პირველი გვერდიდან

მიკროფონთან ფეხმძიმე ქალი მიიყვანეს, წინ ექვსი ბავშვი დაუყენეს.

შვიდი შვილის დედაა და მერვეს ელოდებაო, — გაგვაცნეს, — თქვენ ხედავთ ბავშვებს, ვისთვისაც ვიბრძვითო!

მოჯარული ვიდეო და ფოტოკამერების ობიექტივების წინ მორჩილად დგანან ბავშვები, თვალებს აფახულებენ. აშკარაა, მოსწონთ ყურადღების ცენტრში ყოფნა, მაგრამ რა იციან მათ არჩევნების და ულტიმატუმების?

— მინდა, რომ ჩემმა შვილებმა იცხოვრონ ისეთ საქართველოში, სადაც იქნება სიმშვიდე, ურთიერთსიყვარული და პატივისცემა, — გამოაცხადა აცრემლებულმა ქალმა.

დღევანდელ პათოსში სწორედ ეს პატივისცემა არ იგრძნობა.

* * *

პარლამენტის კიბეებზე ვინაცვლებ. ცოცხალ კედლად აღმართული „ნაციონალები“ საგულდაგულოდ ათვალიერებენ ჟურნალისტის მოწმობას. გზა ხსნილია, ვძვრები გაბმულ ბაზარქვეშ. [illegible]

„ეს რა ხმები ესმით ჩემთა ყურთა?“ [illegible]

წუთის შემდეგ ნინო ბურჯანაძემ მადლობა გადაუხადა სტუდენტებს, რომლებიც, რექტორატის წინააღმდეგობის მიუხედავად, აქციას შემოუერთდნენ.

* * *

„IO PROTESTO“ — საზოგადოება „ჰელიოსი“ ქართულ ლოზუნგ-პლაკატებს არ ჯერდება. სხვანი ინგლისურ ენაზე სთხოვენ შველას მსოფლიოს — „WORLD HELP US“. არადა, სხვის იმედზე ყოფნა, არა მგონია, გამოსავალი იყოს. ხომ ყველამ ვიცით, სხვისი ჭირი რომ უმტკივნეულოა!

იმ პლაკატს ხედავთ? „საქართველო ბოლნისი თქვენთანაა“. თუმცა რაღა დროს გრამატიკული ნორმების დაცვაა, ქვეყანა ინგრევა. და მაინც, ბოლნისი ნამდვილად იქ არის, სადაც საქართველოა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი ერთ-ერთი რაიონია. თანაც, ისე უყვარს თავისი ქვეყანა, რომ „თქვენობით“ მიმართავს.

* * *

მცივა, კი არ მცივა, ვითოშები. ფეხზე დგომით დაღლილი იქვე, საფეხურზე ვჯდები.

აქტიური „ნაციონალები“ უკვე, მგონი, ყინვაგამძლენი გახ- [illegible] 40

მოეყო, მომიახლოვდა და თავისი ქურთუკი შემომთავაზა. გაიყინებით-მეთქი, — ვიუარე. 8 ნოემბრიდან აქ ვდგავარ, სიცივეს შევეჩვიეო, — მიპასუხა და ქურთუკი მომახურა.

— ღამით რჩებით ხოლმე?

— კი, ვრჩებით პარტიის წევრები, სხვებიც. ცეცხლს ვანთებთ, საუბარსა და სიმღერაში ვათენებთ ღამეს. კარგად ვერთობით, — მიცინის.

ვიღაცას დოლი მოუტანია. ღამით, ალბათ, მის ხმას აყოლებენ ცეკვას, დღისით კი სხვა ფუნქცია ეკისრება — თავისი ბუბუნით ტაშის ხმა უნდა გააძლიეროს.

* * *

ქალთა ემოციებს საზღვარი არ აქვს.

— მიშა! მიშა! — ყვირიან და ნაჩუქარ პლაკატებს იკრავენ მკერდში.

ბევრი კი აქ, როგორც ჩანს, შემთხვევით მოხვდა.

სერიოზული სახე მიიღე, ვითომ მიტინგზე ვართ მოსულები და გავიაროთო, — არიგებდა ერთი ბიჭი მეგობარს.

ამ დროს ხალხი რუსთაველიდან მოსულ მხარდამჭერებს უკრავდა ტაშს. — ოჰ, ესენი ხომ წელსაც [illegible]

შორის, ასეთი „კარუსელების“ [illegible]

* * *

[illegible]

რუსუდან გახარია.

სიტუაცია

ფოთის პორტი: ზარალი დღითი დღე იზრდება

(პირველი გვერდიდან) **არადა, ამ გასაცოდავებულ დედაქალაქს ისედაც იმდენი ხალხი მოაწყდა რეგიონებიდან, სუნთქვა გაჭირდა! ბაზარში ფასები კატასტროფულად გაიზარდა, პურის ფასმა საშუალოდ 5-10 თეთრით მოიმატა... არავინ იცის, რითი დამთავრდება დაპირისპირება. და ეს ეხება არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ სფეროს. სამწუხაროდ, უპირველესად სწორედ იმათი ჯიბე ზარალობს, ვინც პარლამენტის შენობის წინ დგას, თორემ, „მგზნებარე“ ორატორების, აბსურდული ლოზუნგებისა და დაპირისპირების მოთავეთა ჯიბეს არაფერი შეეტყობა...**

ამ წერილში, რომელიც ფოთის საზღვაო ნავსადგურს ეხება, სწორედ ამ არეულობების ანარეკლი ჩანს. ნავსადგურის უფროსი ჯემალ ზენაიშვილი შეშფოთებით საუბრობს შედეგებზე, რომლებმაც უკვე იჩინა თავი.

— 2000 წლიდან დაწყებული პორტის ტვირთბრუნვა საგრძნობლად გაიზარდა, — ასე დაიწყო ბატონმა ჯემალმა ჩემთან საუბარი. — მაშინ 3 მილიონი ტონა ტვირთი მივიღეთ და გადავამუშავეთ. შარშან ამ მაჩვენებელმა ერთი მილიონით მეტი შეადგინა. წლეულს, საპროგნოზო მონაცემებით, 5-მილიონიან ზღვარს გადავლახავთ.

— საინტერესოა, როგორ გამოიყურება ეს შედეგი საბჭოთა პერიოდთან შედარებით?

— კარგი შეკითხვაა. მაშინ ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი 4995 ათას ტონას უდრიდა. წარმოიდგინეთ, მთელი ათი წელი დაგვჭირდა, რომ ამ დონისათვის მიგვეღწია! მაგრამ მაშინ სხვა პირობებიც იყო — ერთიანი დაგეგმვა, მოწესრიგებული ურთიერთობები, დახმარებები ცენტრალური ბიუჯეტიდან... დღეს ყველაფერზე ჩვენა ვართ პასუხისმგებელი, ნებისმიერი შეუსაბამობა პირდაპირ ურტყამს ჩვენს შემოსავლებს, რადგან არასაიმედო გარემო აფრთხობს უცხოელ პარტნიორებს. მათი ნდობის მოსაპოვებლად დიდი მუშაობა გავწიეთ — განვაახლეთ პორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შევამცირეთ დატვირთვა-გადმოტვირთვის დრო და ხარჯები, ამაღლდა მომსახურების კულტურა. აი, ამან მოიზიდა უცხოელი ტვირთმომწოდებლები. ისიც სათქმელია, რომ ბევრი ქვეყნისთვის საქართველო უმოკლესი გზაა. ჩვენს პარტნიორებს დღემდე სავსებით აკმაყოფილებდათ შინაური სიტუაცია, სტაბილურობა. ჩვენს საქმიანობას ახალი დატვირთვა მისცა ტრასეკამ, რომლის იდეაც ქვეყნის პრეზიდენტს ეკუთვნის. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ უცხოეთის ქვეყნებთან საერთო ენის გამონახვაში დიდად დაგვეხმარა ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტი. ამას ვამბობ არა მარტო ფოთის ნავსადგურის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

— ბუნებრივია, როცა ტვირთბრუნვა იზრდება, იზრდება შემოსავლებიც....

— დიახ. ამჟამად ჩვენთან 3000 კაცი მუშაობს. ამას დაუმატეთ კიდევ 2000 კაცი, ვინც ჩვენს საქმიანობასთან არის დაკავშირებული. გამოდის, რომ ფოთის პორტი, სულ ცოტა, 15 ათას კაცს აძლევს მუდმივ და გარანტირებულ შემოსავალს. რომ არა შესაბამისი გარემო, რა თქმა უნდა, ამის საშუალება არ გვექნებოდა.

— მაინც, რამდენია საშუალო გამომუშავება?

— 300 ლარი. მაგრამ დოკერები ოთხჯერ უფრო მეტს იღებენ — 1200 ლარს. ამას დაუმატეთ სხვადასხვა შეღავათები, დახმარებები. ასე რომ, ჯერჯერობით საყვედური არავის ეთქმის. გარდა ამისა, ნავსადგურის საქმიანობაზეა დამოკიდებული მთელი ფოთის ეკონომიკა, რაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა კიდეც. ამჟამად მთავარი საზრუნავი ფოთის დამცავი კედლის აღდგენა-გამაგრებაა. სწორედ ის იცავს ქალაქს ზღვის შემოტევისაგან. კედელი ასი წლის წინათ, ნიკო ნიკოლაძის დროს აიგო. დროთა სვლამ თავისი კვალი დააჩნია — კედელმა სამი მეტრით დაიწია, ადგილ-ადგილ ნაპრალები გაუჩნდა.

— ამას, ალბათ, უზარმაზარი სახსრები დასჭირდება, არა?

— რა თქმა უნდა. საკუთარი ძალებით ამ სამუშაოს წარმოება არ შეგვეძლო, ვერც სახელმწიფო ბიუჯეტი დაგვეხმარებოდა. ამიტომ თხოვნით მივმართეთ ჰოლანდიის მთავრობას. მოგეხსენებათ, მათ მდიდარი გამოცდილება აქვთ. სიამოვნებით გამოგვეხმაურნენ, ხელშეკრულების პროექტიც მომზადდა. საამისოდ გათვალისწინებულია 15 მილიონი ევრო, რომლის ერთი მესამედი გრანტია, ორი მესამედი — ხელსაყრელი სესხი.

— როდის გაფორმდება ხელშეკრულება?

— ეს უკვე აღარ ვიცი... დღევანდელმა მოვლენებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა — ხელშეკრულების ხელმოწერამ განუსაზღვრელი ვადით გადაიწია. ის კი არა, რომც გავაფორმოთ, იქ, ალბათ, რაღაც-რაღაცეები შეიცვლება. შეიცვლება და ჩვენ დავზარალდებით. არა მგონია ამ არეულობებით დამფრთხალმა ჰოლანდიელებმა ადრინდელი ხელგაშლილობა გამოიჩინონ...

— მოდით, მაინც უკეთესობაზე ვიფიქროთ. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ხომ დასასრული აქვს?

— აქვს, მაგრამ ისიც ხომ მოგეხსენებათ, „სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო“. კაცი იმედით კი ცხოვრობს, მაგრამ იმ იმედს თვითონ, მისი საქციელიც კვებავს. შეშფოთებისთვის სერიოზული საფუძველი არსებობს. ბოლო წლებში ნავსადგურის განვითარებას საკუთარი 40 მილიონი ლარი მოვახმარეთ. მოვიზიდეთ 30 მილიონი დოლარი უცხოური ინვესტიცია. იცით, ყველას თავისი ინტერესი ამოძრავებს. როცა ქვეყანაში გაუთავებელი ქაოსია, ჯიბეს ვინ შეაწუხებს, საკუთარ ინტერესებს ეჭვის ქვეშ ვინ დააყენებს? ამიტომაც მაშფოთებს ახლანდელი სიტუაცია, რომელიც ხვალ და ზეგ უფრო სავალალო იქნება. პორტმა შარშან 40 მილიონი ლარი შემოსავალი მიიღო, ბიუჯეტს კი 10 მილიონი მისცა. წლეულს, 10 თვეში, უკვე გადმოვრიცხეთ 8 მილიონი ლარი. დარჩენილ ორ თვეში სოლიდურ თანხებს ველოდით, მაგრამ... მოშლის პირას მივიდა ქვეყნის ეკონომიკა, ლარის კურსი დაეცა... ჩვენთან საკმაოდ იკლო ტვირთების ნაკადმა. უარესი ნოემბრის ბოლოსა და დეკემბერშია მოსალოდნელი. უფრო მეტიც — ამ ქაოსის გამოძახილი შეიძლება მომავალ წელსაც დაეტყოს, რადგან კლიენტის მოძიება და მისი ნდობის მოპოვება გაცილებით დიდ დროს მოითხოვს, ვიდრე მისი დაკარგვა. და მაშინ დაზარალდებიან არა მარტო ფოთელები... ტვირთბრუნვის დაცემა უარყოფითად იმოქმედებს იმ საწარმოებზეც, ვინც ჩვენს ეკონომიკაზეა მიბმული.

— თქვენი შეშფოთება გასაგებია. ნეტავი. ასევე გასაგები იყოს იმათთვის. ვინც ხალხს ტვინი გადაუბრუნა.

— სწორედ ამიტომ მივმართავ ყველას, ვისაც ქვეყნის, უბრალო ადამიანების ბედი ადარდებს. ნუ აყვებით დემაგოგებს. რადგან ამით პირველ რიგში საკუთარ თავს აზარალებთ. გუშინ მეც ყურადღებით მოვისმინე პრეზიდენტის მიმართვა. **არ შეიძლება ყველაფრის გაუბრალოება. ხელისუფლება დიალოგისათვის მზად არის, ოპოზიცია ჯიუტობს. აქედანაც ნათლად ჩანს, ვის რა ინტერესი ამოძრავებს, ვინ ზრუნავს ქვეყნის ბედისათვის, ვინ — რბილი სავარძლისათვის. ყური უნდა ვათხოვოთ ჩვენს გულისთქმას, ვინძლო მერე გვიანი არ იყოს სინანული და თავში ხელის ცემა...**

ესაუბრა
ელგუჯა ლეჟავა...

ელგუჯა ლეჟანიძე.

სურათზე: ფოთის პორტი.

სხვა გაზეთებიდან

ოპოზიცია ფსიქოლოგიურ ბუნკერში იმყოფება

ინტერვიუ ნუგზარ მოლოდინაშვილთან

— აქამდე აჭარის ლიდერი ხელისუფლებისთვის შავბნელ ძალას, თქვენთვის კი რუსულ ძალას წარმოადგენდა. მაგრამ ამ დღეებში შევარდნაძის აბაშიძესთან შეხვედრამ დაგვანახა, რომ იგი მისთვის არც ისე შავბნელი ძალა ყოფილა. ეს ოპოზიციის შიშით ხომ არ არის გამოწვეული, რის გამოც მტერს შეეკრა?

— მინდა შეგახსენოთ, ასლან აბაშიძეს შავბნელ ძალად მიიჩნევდა ჟვანიას გუნდიც. მიუხედავად ამისა, ამას ხელი არ შეუშლია მისთვის და მისი თანაგუნდელებისთვის წასულიყვნენ ალიანსზე აღორძინებასთან და, შესაბამისად, აჭარის ლიდერთან, როდესაც ეს დასჭირდათ. კერძოდ, რამდენიმე თვის წინათ როცა ხელფასების გაზრდის პოპულისტური იდეაფიქსის მხარდასაჭერად ჟვანიას აღორძინების ხმები დასჭირდა, იგი უყოყმანოდ დათანხმდა მხარი დაეჭირა თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ კანონისთვის, რომელიც პირადად აჭარის ლიდერის ინიცირებულია. მგონი ყველამ ვიცით, როგორი იყო მანამდე მათი დამოკიდებულება ამ კანონისადმი.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ნინო ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ აღორძინების დიდი ნაწილის მხარდაჭერის შედეგად. რასაკვირველია, მე არ ვთვლი, რომ ეს უფრო სამარცხვინოა, ვიდრე ის სკანდალური ფალსიფიკაციის მცდელობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბურჯანაძის არჩევისას. მაგრამ თუ თვითონ თვლიან, რომ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, ტერიტორიული ერთეულის ლიდერთან და მის პარტიასთან ურთიერთობა უფრო სამარცხვინოა პრეზიდენტისთვის, ვიდრე ღია ეთერში ჩადენილი კრიმინალი და შემდეგ ამ კრიმინალზე ხელის დაფარება პარლამენტის თავმჯდომარის ნათესავების მხრიდან, ეს მათი პრობლემაა.

რუსეთთან ურთიერთობისა და დამოკიდებულების მხრივ, მგონი, თავად ასლან აბაშიძეც არ მალავს თავის პოზიციას და ღიად აფიქსირებს. არანაკლებ და, როგორც ვხედავთ, უფრო დიდ პრობლემას ქვეყნისათვის წარმოადგენს ზოგიერთი პოლიტიკოსისა და პოლიტიკური ძალების ფარული კავშირები რუსეთთან, რომლებსაც ისინი დეკლარირებული დასავლეთელობით ნიღბავენ.

რაც შეეხება შიშს, მგონი შევარდნაძემ არაერთხელ დაამტკიცა, სხვათა შორის, ამ რამდენიმე დღის წინაც, რომ მისი შეშინება არც ისე ადვილია. არა მგონია, ბევრი იყოს ისეთი პოლიტიკოსი, რომელსაც შეუძლია პირისპირ შეხვდეს მისდამი სიძულვილით დამუხტულ ხალხის მასას.

— ასეთი აზრიც კი გაჩნდა, რომ შევარდნაძე ასლან აბაშიძეს აძლევს ხელისუფლებას.

— როგორც ვიცი, ეს აზრი ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს ეკუთვნის. ხომ გითხარით, რომ კრიტიკულ ვითარებაში ისინი არაადეკვატურ დასკვნებს აკეთებენ ხოლმე. ახლა ოპოზიციის მიერ კონტროლირებადი საინფორმაციო საშუალებებით მიდის იმის პროპაგანდა, რომ თითქოს ხელისუფლება აზვიადებს აჭარისა და, საერთოდ, რეგიონების ფაქტორს. მოდით, ელემენტარულად, დავიცვათ ქრონოლოგია. განა ოპოზიციამ და მისმა ბოდვითმა იდეებმა არ გააზვიადა აჭარის ფაქტორი? ოპოზიციამ მოინდომა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, თბილისიდან მხარდამჭერთა მასობრივი ჩაყვანით გადაეჭრა აჭარაში დემოკრატიის პრობლემა. ოპოზიციის განცხადებები იმის თაობაზე, რომ არჩევნების საერთო შედეგებში არ იყოს გათვალისწინებული აჭარის შედეგები, პირდაპირაა მიმართული აჭარის საქართველოდან გასაგდებად. ოპოზიციამ შეიმუშავა ამომრჩეველთა ხმების კანონიერებისა თუ უკანონობის საკუთარი კრიტერიუმები და სხვათა შორის, ეთნიკური ნიშნითაც. ოპოზიციის ლიდერები გაჰკიოდნენ — ხელისუფლებას მხოლოდ აზერბაიჯანელები და სომხები უჭერენ მხარსო და ახლა ირკვევა, რომ თურმე იმ აზერბაიჯანელების ხმებიც უკანონო ყოფილა.

აი, ამით ქმნიან საქართველოსთვის პრობლემებს. არც მიკვირს, ოპოზიციაში შემავალ ზოგიერთ პარტიას საქართველოს კონფედერაციის გეგმა პროგრამულ დოკუმენტად აქვს აღიარებული, უბრალოდ, ახლა არ აწყობთ ამაზე აქცენტირება და დროებით უჯრაში აქვთ გადანახული.

— ამას წინათ ტელევიზიით განაცხადეთ, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ყოველთვის მოიძებნება მოსახლეობის 20-25 პროცენტი, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგია. აქედან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თქვენთვის ოპოზიციის მხარდამჭერი მოსახლეობის მოთხოვნები არ არის გასათვალისწინებელი?

— არა, მე ოპოზიციაზე არ მითქვამს. მრავალ ქვეყანაში ოპოზიცია 25 პროცენტზე მეტს წარმოადგენს და ამიტომაც პერიოდულად თავადვე მოდის ხელისუფლებაში. მე ვთქვი საზოგადოების რადიკალურად, ზოგჯერ კი ექსტრემისტულად განწყობილ ნაწილზე. სხვადასხვა ქვეყნების შიდა სიტუაციის გათვალისწინებით მათი რაოდენობა 10-20 პროცენტის ფარგლებში მერყეობს ხოლმე. რასაკვირველია, საზოგადოების ნებისმიერი ფენის თუ მცირერიცხოვანი ნაწილის მოთხოვნები მეტ-ნაკლებად უნდა იყოს გათვალისწინებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მუდმივად ხდებოდეს უკანონო მეთოდების, პრობლემების არასამართლებრივი გზით გადაჭრის, შანტაჟისა და მით უფრო, ძალისმიერი ტერორის წახალისება. ამ არჩევნებში კი რეალურად გამოჩნდა ოპოზიციისა და მისი მხარდამჭერი ჯგუფების მიდრეკილებები „თალიბანური“ მეთოდებისადმი.

— რით დამთავრდება ეს ყველაფერი?

— გააჩნია ვისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოსთვის ყველაფერი კარგად დამთავრდება. რაც შეეხება ოპოზიციას, ეს ბევრადაა დამოკიდებული მათ კეთილგონიერებაზე. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ოპოზიციის ლიდერები ამჟამად თავისებურ ფსიქოლოგიურ ბუნკერში იმყოფებიან. ჩვენს ხელისუფლებას 1991-92 წლების მიჯნაზე მოუხდა ბუნკერში ჩასვლა, მაგრამ ჩვენ ტყვიებისა და ნაღმტყორცნების ცეცხლისგან ვიფარავდით თავს. ოპოზიცია კი დღეს ობიექტურ რეალობას ემალება და ამაში მათ მიერ კონტროლირებადი საინფორმაციო საშუალებებიც უწყობენ ხელს. ეს პროცესი დღეს არ დაწყებულა. არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე ვთქვი თქვენთან ინტერვიუში, რომ ჟვანია მასმედიაში მისი ბერკეტების მეშვეობით ქმნის ვირტუალურ რეალობას მოსახლეობისთვის, მაგრამ შესაძლოა თავად აღმოჩნდეს ამ ილუზიის ტყვეობაში. ეს დადასტურდა არჩევნების შედეგებითაც. თვით ამერიკელების მიერ ჩატარებულმა, მათთვის სანდო ეგზიტპოლმაც აჩვენა, რომ ჟვანია-ბურჯანაძის ბლოკმა კატასტროფულად დაბალი შედეგი მიიღო, სულ რაღაც 7 პროცენტი. თანაც ამ მაჩვენებლებში არ შედიოდა აჭარის შედეგები.

ოპოზიციის ლიდერებს ვურჩევ, გამოვიდნენ ამ ფსიქოლოგიური თვითიზოლაციიდან, ობიექტურად შეაფასონ თავიანთი მდგომარეობა და მორჩნენ ვაჭრობას, მით უმეტეს, ისეთ დონეებზე, რომელთა კომპეტენცია არ წვდება არსებულ საკითხებს.

— გოგიტიძემ აჭარის მოსახლეობას თბილისში ჩამოსვლისა და ხმების დაცვისკენ მოუწოდა. ეს ხომ არ გამოიწვევს ამ ორი მოსახლეობის დაპირისპირებას?

— რომ გამოიწვევს დაპირისპირებას, ალბათ ამიტომაც არ ჩამოდიან. თუმცა ვერ გამიგია, რა, აჭარის მოსახლეობას, ან თუნდაც ხელისუფლების მხარდამჭერებს არა აქვთ უფლება თბილისში მასობრივად ჩამოსვლის, თუ ამ უფლებებით მხოლოდ სააკაშვილისა და ჟვანიას მხარდამჭერები სარგებლობენ? და საერთოდ, მინდა გავახსენო პარლამენტის წინ შეკრებილ პოლიტიკოსებს და საზოგადოებრივ ელიტას, რა ეპითეტებით ამკობდნენ 1991 წელს ზვიად გამსახურდიას მხარდასაჭერად სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულ ადამიანებს, როგორ უწოდებდნენ გოიმებს, სოფლელებს და სუნიანებს. დღეს რამ გახადა ისინი ასეთი „ნაროდნიკები“?

ასე რომ, ფუჭია მცდელობა, თავის თარგზე მოჭრან დღევანდელი რეალობა თუ ახლო წარსული. უმჯობესია, მომავალზე იფიქრონ.

მამუკა ბაკაშვილი.

გაზეთი „ახალი თაობა“.

14 ნოემბერი, 2003 წ.

იბეჭდება რედაქციის თავაზიანი ნებართვით.

ცესკოში

მომიტინგეებმა საქართველოს წინაშე პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ

არჩევნების შედეგების ცნობა მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეროგატივაა. ცესკოს წევრის შალვა ბულაშვილის აზრით, ეს უფლება მათ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა წაართვა.

შალვა ბულაშვილი: — არჩევნებს ცენტრალური საარჩევნო კომისია კი არა, „რუსთავი-2“ ატარებს. ამ ტელეკომპანიას საარჩევნო კოდექსი და კანონი არც აინტერესებს, ის ჟვანია-სააკაშვილის მითითებებით მოქმედებს.

რაც შეეხება ცესკოს წევრებზე გაკეთებულ „კმარას“ კლიპს, რომელსაც „რუსთავი-2“ წარამარა ატრიალებს, ეს კლიპი ასეთი ხალხის გაკეთებული ჩანს, ვისაც საარჩევნო კანონმდებლობაზე და ცენტრალური საარჩევნო წევრების ფუნქციაზე წარმოდგენაც არა აქვს.

— ბატონო შალვა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით „რუსთავი-2“-ს ცესკოში აკრედიტაცია მოეხსნა. გარდა იმისა, რომ ცესკო „რუსთავი-2“-ზე განაწყენებულია, აკრედიტაციის გასაუქმებლად რა სამართლებრივი საფუძველი გაგაჩნდათ?

— სწორედ რომ სამართლებრივი საფუძველი გაგვაჩნია. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ყველა ტელეკომპანია ვალდებულია წინასაარჩევნო აგიტაციისთვის გამოყოფილი დროის განაწილებისა და ტარიფის შესახებ ცესკოში ინფორმაცია დროულად წარმოადგინოს. ეს ინფორმაცია უწყვეტად მხოლოდ სამმა ტელეკომპანიამ (I არხი, „მზე“, „იმედი“) წარმოადგინა. დანარჩენმა ტელეკომპანიებმა, მართალია, ხარვეზებით, მაგრამ მაინც წარმოგვიდგინეს. ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა კი ამ ვალდებულების შესრულება მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ინება. კანონის დარღვევისთვის პასუხი ყველამ უნდა აგოს. თუ „რუსთავი-2“ ცესკოს ამ გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებს, ეს მათი უფლებაა. ჩვენი ქმედების სისწორეში, დარწმუნებული ვართ.

ცესკოში აღნიშნავენ, რომ აქ შემოსული საჩივრებიდან, რისი განხილვაც შესაძლებელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა. დანარჩენი საარჩევნო დავები სასამართლოებშია განსახილველი. გარდა ამისა, ზოგიერთ ოლქში ხელახალი კენჭისყრები და მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურია ჩასატარებელი.

კერძოდ, ცესკოს გუშინდელ სხდომაზე იმსჯელეს: ასპინძის საარჩევნო ოლქის 3 (1,2,4) საარჩევნო უბანში განმეორებითი კენჭისყრის ჩასატარებლად ახალი საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის, № 4 კრწანისისა და №60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების ხელახლა გადათვლის, № 66 ხობის მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დამტკიცების შესახებ და სხვ. საჩივრების განხილვისა და სასამართლო პროცესების დასრულების შემდეგ, არჩევნებში მიღებული შედეგების საერთო სურათი, გარკვეულწილად შეიცვლება, თუმცა რადიკალური გარდაქმნები არ იქნება.

„ახალმა მემარჯვენეებმა“ შვიდპროცენტიანი ზღვარი გადალახეს. ახლა საკითხავია, „მრეწველები“ შეძლებენ თუ არა ბარიერის გადალახვას. დანარჩენ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის სურათი კვლავ უცვლელია: პირველ ადგილზეა სახელისუფლებო ბლოკი, მეორეზე — დემოკრატიული აღორძინების კავშირი, მესამეზე — ნაციონალური მოძრაობა, მეოთხეზე — ლეიბორისტული (შრომის) პარტია, მეხუთეზე — ბურჯანაძე-დემოკრატები.

პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის მიუხედავად, ცენტრალური საარჩევნო კომისია დილიდან ჩვეულ რიტმში მუშაობდა. საღამოს კი ცესკო მიხეილ სააკაშვილმა და მომიტინგეებმა ალყაში მოაქციეს. სააკაშვილმა ცესკოს სხდომაზე შეაღწია იქ თავისი ხალხი დატოვა, რათა მისი თქმით, „ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების შედეგების გაყალბება ვერ შეძლოს“.

სანამ ცენტრალური საარჩევნო კომისია და სასამართლოები არჩევნების საკითხს განიხილავენ და საბოლოო დასკვნას გამოიტანენ, მომიტინგეები მღელვარებენ. აშკარაა ქუჩაში ხალხი არჩევნებმა კი არა, გარკვეულმა ოპოზიციურმა ძალებმა გამოიყვანეს.

ნუთუ, ვინმეს სჯერა იმ დაპირებების, რა დაპირებებსაც ისინი იძლევიან? მათ რომ ამ ყველაფრის გაკეთება შეძლებოდათ, ამის ბერკეტები და საშუალებები ჰქონდათ იმავე პარლამენტში, სადაც ხელახლა მიილტვიან.

მომიტინგეებმა საქართველოს წინაშე პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ და აქცია მხოლოდ მშვიდობიანად დაამთავრონ!

მზია გელენავა.

კადრები

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაინიშნენ:

ავთანდილ ლეკაშვილი - დედოფლისწყაროს რაიონის გამგებლად; **თამაზ დუღაშვილი** - გურჯაანის რაიონის გამგებლად; **რევაზ გაბრიაძე** - თერჯოლის რაიონის გამგებლად.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გათავისუფლდნენ:

გელა ბიწკინაშვილი — გურჯაანის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან და **ვაჟა ქადაგიძე** — დედოფლისწყაროს რაიონის გამგებლის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

საქინფორმი.

ასე ფიქრობენ

ქართველ ხალხს სხვა არჩევანი არ გააჩნია

2 ნოემბრის პარლამენტის არჩევნების შემდეგ უკიდურეს ზღვარს მიღწეული პოლიტიკური კონფრონტაციის განმუხტვის მიზნით, საქართველოს ომის ვეტერანებმა, მებრძოლთა კავშირმა, „ტყის ძმებმა“ გამოხატეს თავიანთი პოზიცია და გამოთქვეს ინიციატივა, რომ მაქსიმალური ძალისხმევით შეეცადონ შეასრულონ მედიატორის როლი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.

14 ნოემბერს თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ომის ვეტერანებმა და მათმა თანამოაზრეებმა მიმართეს საზოგადოებას, რომ ეს საპროტესტო აქცია არ გადაიზარდოს სამოქალაქო დაპირისპირებაში, უფრო მეტიც, სამოქალაქო ომში.

პარლამენტარმა გია ყარყარაშვილმა განაცხადა, რომ მიმართვა, რომელიც შეკრებაზე მიიღეს, დაპირისპირებული მხარეების საყურადღებოდ გაკეთდა და ქართველი ომის ვეტერანები ერს თანადგომასა და სამოქალაქო მშვიდობისაკენ მოუწოდებენ. მათ ღრმად სწამთ, რომ ქართველ ხალხს სხვა არჩევანი სადღეისოდ არ გააჩნია.

სახელისუფლებო ბლოკის „ახალი საქართველოსათვის“ წარმომადგენელმა „საქინფორმის“ კორესპონდენტებთან საუბრისას განაცხადა, რომ აუცილებელია გაიმართოს მოლაპარაკება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, როგორც კანონმდებელს მიაჩნია, ორივე მხარისათვის სავსებით რეალური და მისაღები უნდა იყოს მოლაპარაკების შედეგები. დაპირისპირებულმა მხარეებმა უნდა შეაჯერონ თავიანთი წინადადებები და მოსაზრებები, რათა არსებულ პრობლემას კანონის ფარგლებში ღირსეული გადაჭრა მოუძებნონ.

საქინფორმი.

ბრიფინგი

პოლიციას ტყუილად დასდეს ბრალი

დაკავებულია 7 ნოემბერს ზუგდიდში მომხდარი ინციდენტის მონაწილე

გუშინ, 14 ნოემბერს, შუადღისას, შსს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა გამართა საგანგებო ბრიფინგი, რომელზეც ჟურნალისტების წინაშე განცხადება გააკეთა 2003 წლის 7 ნოემბერს ზუგდიდში მომხდარი ინციდენტის შესახებ.

როგორც ცნობილია, იმ დღეს, ქალაქის ცენტრში მიმდინარე მიტინგის დროს, დაუდგენელმა ნიღბიანმა პირებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ატეხეს სროლა, რა დროსაც დაიჭრა ორი ადამიანი. ზოგიერთმა პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ ეს პროვოკაცია მოწყობილი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და მასში უშუალოდ მონაწილეობდნენ პოლიციელები.

კობა ნარჩემაშვილმა განაცხადა, რომ ამგვარ ბრალდებას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა. შს სამინისტროს და სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ოპერატიული სამსახურები მაშინვე შეუდგნენ ღონისძიებების განხორციელებას ამ დანაშაულის ჩამდენთა ვინაობის დასადგენად და დასაკავებლად. გუშინ, 13 ნოემბერს პოლიციამ დააკავა ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერის მცხოვრები გონელი თორდია. წინასწარი მოკვლევით დადგინდა, რომ ედუარდ თორდიამ თავის რამდენიმე თანამზრახველთან ერთად ზუგდიდის ცენტრში გამართულ მიტინგზე მართლაც ატეხა სროლა, როგორც ის აცხადებს, მან ეს გააკეთა სამაგიეროს გადახდის მიზნით, 23 ოქტომბერს ზუგდიდში მიხეილ სააკაშვილის დაცვის მიერ მისი ცემის გამო. 23 ოქტომბერს იგი ტელეკომპანია მე-9 არხის ადგილობრივი კორესპონდენტის ანა მაქაცარიას მეუღლის კუთვნილი ავტომანქანის საჭესთან იჯდა, ჟურნალისტსა და მის მეუღლესთან ერთად. მანქანა აღმოჩნდა მიხეილ სააკაშვილის დაცვის სიახლოვეს, მათ იგი გადმოიყვანეს ავტომანქანიდან და სასტიკად სცემეს. როგორც ე. თორდია აცხადებს, იგი მოელაპარაკა თავის რამდენიმე მეგობარს და შეურაცხყოფისათვის სამაგიეროს გადახდის მიზნით 7 ნოემბერს სროლა ატეხეს მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერთა მიტინგზე.

პოლიციამ უკვე დაადგინა ედუარდ თორდიას თანამზრახველთა ვინაობა, ხორციელდება ღონისძიებები მათ დასაკავებლად. ამოღებულია ერთი ავტომატი, რომლისგანაც 7 ნოემბერს მოხდა გასროლა.

ვალერიან გოგოლაშვილი.

ჩემი აზრი

ძალისმიერი მეთოდებით დავას ვერ გადავწყვეტთ!

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში სადავო და სადისკუსიო საკითხი ბევრი დაგროვდა, ხალხი გაუსაძლის პირობებში აღმოჩნდა. ის, რაც საქართველოში დღეს ხდება, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა, ხალხი ქუჩაში გამოვიდა, მაგრამ როგორ გადავწყვიტოთ ეს დავა, რა გზებით? ძალისმიერი მეთოდებით?

არა და არა!

ჩვენ ხომ რეფორმირებული სასამართლო ორგანოები შევქმენით, ამიტომ ყოველგვარი დავა კანონების სრული დაცვით უნდა გადაწყდეს!

ორშაბათს, 10 ნოემბერს, კოკა ყანდიაშვილის გადაცემაში „რა ხდება“? ძალზე გაწონასწორებულად გამოვიდა „მემარჯვენეების“ ცნობილი ლიდერი დავით გამყრელიძე. მართლაც, ამ გამძაფრებულ ვნებათაღელვაში როგორ შეიძლება ქვეყნის პრეზიდენტის გადადგომა? მერე რას მივიღებთ? რა მოყვება ყოველივე ამას?

ახლა, პოლიტიკოსები გახსნილად საუბრობენ და ჩვენი აზრით, სავსებით მართებულადაც, იმის შესახებ, რომ დაუშვებელია ნებისმიერი სატელევიზიო არხი მოსახლეობის, მოქალაქეების ვნებათაღელვას აღვივებდეს და მდგომარეობას კიდევ უფრო ძაბავდეს.

ეს დაუშვებელია! ამ მხრივ კარგი იქნება, თუკი „რუსთავი-2“ კრიტიკულად შეაფასებს დავის საქმიანობას!

რუსთაველზე ცივა... თუმცა იმართება კონცერტიც... ელოდებიან... რას? ბევრ მომიტინგეს იქნებ გათვითცნობიერებულიც არა აქვს, რას რა შეიძლება მოჰყვეს. დავფიქრდეთ. ძალისმიერი მეთოდებით დავა ვერ გადაწყდება.

პროფესორი
ზურაბ ტატაშიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

სამხედრო ბაზები

ქართულ-რუსული მოლაპარაკება სამხედრო საკითხებზე

12-13 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა სამხედრო საკითხებზე საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის დელეგაციათა საექსპერტო ჯგუფების შეხვედრა.

დღის წესრიგი ითვალისწინებდა შემდეგ საკითხებს: გუდაუთის სამხედრო ბაზის დოკუმენტური გადაცემა ქართული მხარისათვის, ბაზის დახურვისა და მისი ცალკეული ინფრასტრუქტურის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მიერ შემდგომი სარგებლობის ტრანსპარენტულობის უზრუნველყოფა, ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების გაყვანის ვადები და პირობები, დელეგაციის მოლაპარაკების შემდგომი გაგრძელება.

ეს საკითხები წარმოადგენს 1999 წლის ეუთოს სტამბოლის სამიტზე საქართველოსა და რუსეთის ერთობლივი განცხადებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებელ ნაწილს. საქართველოს მხარის პოზიციით, რომელსაც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების (ეჩშძ) შესახებ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების უმრავლესობაც იზიარებს, აღნიშნულ ვალდებულებათა დაუყოვნებელი შესრულება აუცილებელი წინაპირობაა ადაპტირებული ეჩშძ ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის. შეხვედრაზე ქართველმა ექსპერტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ქართული მხარის პოზიცია, რომლის თანახმად, მხოლოდ რუსეთის მიერ საქართველოსთან მიმართებაში ნაკისრ ვალდებულებათა დროული და უპირობო შესრულების შემთხვევაში გაუკეთებს საქართველო რატიფიკაციას ადაპტირებულ ეჩშძ ხელშეკრულებას (ცნობისათვის: ადაპტირებული ეჩშძ ხელშეკრულების ძალაში შესვლისთვის აუცილებელია ყველა მონაწილე სახელმწიფოს პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაცია).

მხარეებმა განიხილეს ქართული მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტი გუდაუთის ბაზის დახურვისა და მისი ცალკეული ინფრასტრუქტურის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მიერ შემდგომი სარგებლობის ტრანსპარენტულობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, აღნიშნული პროცესის ეუთოსა და გაეროს საშუალებით განხორციელების მექანიზმების შესახებ. მხოლოდ ამ შემთხვევაში განიხილება ბაზის ინფრასტრუქტურის გარკვეული ნაწილის სამშვიდობო ძალებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესაძლებლობა.

ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ აღინიშნა საქართველოს სუვერენული ნება, მისი ტერიტორიის გათავისუფლება რუსული სამხედრო ყოფნისაგან და აღნიშნული პროცესის განხორციელებისათვის კვლავ შეთავაზებულ იქნა სამი წელი. აგრეთვე ხაზი გაესვა, რომ ქართული მხარე მზად არის გამოიჩინოს გარკვეული მოქნილობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, შეეხება აღნიშნულ ბაზებზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო მოსამსახურეთა და დასაქმებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას. ხაზგასმით აღინიშნა ის გარემოება, რომ უახლოეს პერიოდში ამ საკითხზე მიღებულ უნდა იქნეს საბოლოო გადაწყვეტილება, რისთვისაც ქართულ მხარეს აუცილებლად მიაჩნია მაღალი დონის შეხვედრის გამართვა (დელეგაციის ხელმძღვანელთა შეხვედრა ან მოლაპარაკების მორიგი რაუნდი). სავარაუდო თარიღად დასახელდა 2003 წლის დეკემბრის მეორე ნახევარი.

შეხვედრაზე ქართულმა მხარემ დააყენა სხვა პრობლემატური საკითხებიც, კერძოდ, ჯავშანსატანკო სარემონტო ქარხნის საქართველოსთვის გადმოცემა, რომელიც შეთანხმდა ჯერ კიდევ 2001 წელს და რუსული მხარის უსაფუძვლო პოზიციის გამო დღემდე ჭიანურდება. ქართული მხარე მიესალმა რუსული მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებას საგარეჯოს საბრძოლო-საინჟინრო მასალების საწყობის 2003 წლის დამლევამდე საქართველოს ტერიტორიიდან გატანის შესახებ. თუმცა გამოითქვა სერიოზული შეშფოთება, რომ საწყობიდან რუსეთის ფედერაციაში გასატანად 2003 წლის ივლისში ბათუმში გადატანილი ერთი ეშელონი საბრძოლო-საინჟინრო მასალა დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება და არ ხორციელდება მისი ტრანსპორტირება რუსეთის ფედერაციაში. ამით უხეშად ირღვევა მიღწეული შეთანხმება და საქართველოს კანონმდებლობა. ქართულმა მხარემ ამ საკითხთან დაკავშირებით მოითხოვა დაუყოვნებლივ ახსნა-განმარტება და უახლოეს დროში აღნიშნული საბრძოლო მასალების რუსეთის ფედერაციაში გადატანა.

საქინფორმი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ფიქრი

დამთმობა ქრთამის ხვედრია

თეზა

სპრაბედნიე საქართველო აშენებული. ჩვენი სამშობლო ადეპტული ნეიტრალიტეტის ასპრეზინის ფუნქციით. ელენგოს მიერ „სანუკუნის პროექტად“ სახელდებული „დიდი აბრეშუმის გზა“ ფეხს იიდგამს, ქართველი დაძმობება და პანერძენ ეს სამეილიშვილი მონაპოვარი ეკონომიკის ცეცხლზე შემოდგმულ რძესავითაა მოსაფრთხილებელი. მის განუხრელ წინსვლას ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს, თუნდაც ოპოზიციის ქედმაღლურმა ბეღლმა. დღიმობა ძლეერია ხელერია. კომპრომისი ბრძენის თანდაყოლილი ცალმხრივიობით წართმეული მამაბერეთაბაზეა ეკონომიკაში უნარი ალალი ბიძინაურობის საკაპიტალე ბაზარზე 220 000 ლარი ხასაბრალო ფიფირმობის გამოყოფილი 14 მილიონის უდიდესი ნაწილე უგზო-უკვლოდ დაიკარგა. საკაკმელი სულ სხვების ხასახელებმე ცალ მე მცი ცოლი სარდაფში ეცხოვრობდით და ბანაებს მეკს ეფრაფერს ეკმებით. თუ ახეთი მდიდარი წინაპრები ვყოფილიყავით, ამერიკაში რაგომ მამა მილიონერები?

— საკაკმელის მილიარეებისგან გამეცა, კომერციალებისას დღეს ყველას აბრალებენ...

— რაგომ ყველას?! ვემთვის, მაგალითად, არავის არანაირს დღეისათვის კომერციალებას და პრივატიზირებულ ენერგოსექტორს ანაბრალებს ანონიმების ბრძოლას!“ - ეწერე ახლა მაინც დამისახელოს თუნდაც ერთი ფაქტი მეეჩვის უკაცრისის კაცრაბასა! ან სხვის მიერ ჩემზე გამოთქმული ანტკარი პრაკლიკა მეამისენით!

— ნუთუ დაიკვიას ეკონომიკის ბაზრებზე?

— თუ თქვენ ხედავთ, მაიმარჩით. მე კი ვხედ, რომ ეს არის უკლრესად უმრავლესი კაცი, თუნდაც მსოლოდ ის გაიმსესრთ, რა სიმკვეთი უკაღრებთ პრეზიდენტობას. ეს ახეთი კაცი ამჯამად ქმრობეს საკეთილო კეთილს შეეშლა.

— ქვეყნის ეკონომიკის ვითარებაზე?

— ეს ნეიტრალური ვითარებაა. ბურჯანაძეს ამას წინათ მაკრნეც თქვა: „ჩვენ ვიყავით არაქმედითუნარიანი მეორე პარლამენტში“. არაქმედითუნარიანი ხელისუფლება ეწოდებოდა ბურჯანაძის პარლამენტს. ეს ნეიტრალური ხელისუფლება ნამდვილად ეხმარებოდა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესში. ეს ნეიტრალური ხელისუფლება ნამდვილად ეხმარებოდა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესში. ეს ნეიტრალური ხელისუფლება ნამდვილად ეხმარებოდა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესში.

ანტითეზა

ხელისუფლება ბირთვია, ოპოზიცია — მთელად ჯახი. სტრატეგიული ომის მოსაგებად ხელისუფლება თვალს უჭერს ეკონომიკის ქედმაღლურ ბეღლობას. ოპოზიციის ბრძოლა ბიზნესის ინტერესებისთვის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის ნაწილის მიმართ ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესში ხელისუფლების ნაწილის ბრძოლის ანალოგიურია. ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა

წინაპარი

როგორ აღსრულდა მამულიშვილთა უკანასკნელი სურვილი?

ზოგი რამ დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების ანდერძის გამო

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით, დიდი მამულიშვილის, მეწარმისა და მეცენატის დავით სარაჯიშვილის სახელის უკვდავსაყოფად დაწესდა მისი დღე, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება. წლეულს იგი ახლახან — დავით სარაჯიშვილის დაბადების დღეს — 10 ნოემბერს აღინიშნა.

დღეს გთავაზობთ მასალას ამ შესანიშნავი მამულიშვილისა და მისი მეუღლის ანდერძთან დაკავშირებით, რომელიც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მკითხველთათვის.

სიცოცხლეში სასიქადულო მამულიშვილს, საზოგადო მოღვაწეს, კონიაკისა და ლიქიორის სამრეწველო წარმოების მესაძირკვლეს, ქველმოქმედსა და მეცენატს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს დავით სარაჯიშვილსა და მის მეუღლეს ეკატერინე ფორაქიშვილ-სარაჯიშვილისას, სიკვდილის შემდგომ, ანდერძის თანახმად, მთელი ქონება ერისთვის გადაუციათ. მის აღმასრულებლად კი დაუნიშნავთ ეკატერინეს ძმა — ადამი, დავით ილარიონის ძე ფორაქიშვილი, ალექსანდრე თეოდორეს ძე სარაჯიშვილი და გიორგი ვასილის ძე მაჩაბელი.

სარაჯიშვილების ანდერძის შემსრულებლად, ორი წლის განმავლობაში უნდა მომხდარიყო ქონების ლიკვიდაცია, ქარხანა-სავაჭროები კი ექვსი წლის განმავლობაში უნდა გაყიდულიყო. ამონაგები თანხა უნდა განაწილებულიყო წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებებს შორის. თუ როგორ აღასრულეს ანდენძის ეს ნაწილი, ვგებულობთ იმ წერილებიდან, რომლებიც დაინტერესებულმა პირებმა გამოაქვეყნეს 1920 წლის გაზეთ „სახალხო საქმეში“. როგორც ამ წერილებიდან ირკვევა, ანდერძის გამო ბევრი მითქმა-მოთქმა ამტყდარა. მრეწველი მიხეილ სესიაშვილი წერდა: „განსვენებულის ნების აღმასრულებლებმა ეს უძვირფასესი ანდერძი, ენუქის ანდერძად აქციეს და როცა პასუხს სთხოვენ, სხვების უსამართლო გაშავებით ჰლამობენ თავიანთი მურიანი პირის გათეთრებას. ასე იქცევა ერთი ამხანაგთაგანი სარაჯიშვილის ფირმისა ბ-ნი მიხეილ მაჩაბელი“ (№ 1009 დეკ-21)

საქმის ვითარება ასეთი ყოფილა: ანდერძის თანახმად, 1917 წელს ლიკვიდირებულ იქნა ქარხანა-სავაჭროები. იმ მოტივით, რომ, როგორც მიხეილ მაჩაბელი აღნიშნავს, ეს საწარმოები არაქართველთ არ ჩავარდნოდათ ხელთ, ნების აღმასრულებლებმა შექმნეს „ამხანაგობა“ და თვითონ იყიდეს ფირმა 1.300.000 მანეთად. როგორც შემდგომ ირკვევა, ფირმის შეძენის სურვილი ჰქონია, დავით სარაჯიშვილის ნების აღმასრულებელსა და მარჯვენა ხელს — ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილსაც, რომელიც გაყიდულთან შედარებით 370.000 მანეთით მეტს იძლეოდა თურმე.

1920 წელს გამოქვეყნებულ წერილებში მიხეილ მაჩაბელი ამტკიცებდა, ალ. პ. სარაჯიშვილი არ იძლეოდაო მეტ თანხას (ამ დროისთვის ა. სარაჯიშვილი გარდაცვლილი იყო). უფრო მეტიც, იგი ბრალს სდებს იმაში, რომ ის ურჩევდა ეკატერინეს ფირმა გაეყიდა 600 000 მანეთად. ამას, მისივე თქმით, წინ აღსდგომიან ალ. თეოდორეს ძე სარაჯიშვილი და ბოგადი, ფირმა დაღუპვისაგან გადაურჩენიათ, რასაც თურმე ალ. პ. სარაჯიშვილის საქმიდან ჩამოშორება მოჰყოლია.

მიხეილ მაჩაბლის საპასუხო წერილებში ალ. პ. სარაჯიშვილის შვილობილი მარიამ ბაქრაძე კი იუწყებოდა, რომ მიხეილი სარგებლობდა იმით, რომ განსვენებული პასუხს ვერ გასცემდა. ის ყოფილა მოწმე გაყიდვისას ალექსანდრესა და მიხეილის საუბრისა, როცა მეტი თანხის შემოთავაზებით გულაჩუყებულ, თვალცრემლიან მაჩაბელს უთქვამს: „მე მესმის თქვენი გულის ტკივილი, რადგან დიდი ამაგი გაქვთ და ასე გიყვართ საქმე, გულით გითანაგრძნობთ“. გაოცებული მარიამი წერდა: „დავიჯერო, ბატონო მიხეილ, მაშინდელი თქვენი თვალ-ცრემლი უფრო გულწრფელი იყო, ვიდრე დღევანდელი მიცვალებულის მხილება საქმის ღალატში?!“

რაც შეეხება ალექსანდრეს ფირმიდან წასვლა, მიუხედავად ეკატერინეს დიდი თხოვნისა, თავად მოუსურვებია, რაც გამოწვეული ყოფილა იმ ატმოსფეროთი, რომელიც შეუქმნიათ შემდგომ მყიდველთ. მარიამი პირიქით, ბრალს სდებს ნების აღმასრულებლებს ფირმის იაფად გაყიდვაში: „იმის მტკიცება, თუ რომელნი მყიდველნი უფრო წმინდა წყლის ქართველნი იყვნენ — ალ. პ. სარაჯიშვილი და შიტი, თუ ა. ფ. სარაჯიშვილი და ბოგადი, ეს თქვენი აზრისა და გონების საქმეა, მაგრამ რას ბრძანებთ თქვენ ამ 370.000 მანეთზე, რომელიც თქვენ შესწირეთ ბოგადსა და ალ. თ. სარაჯიშვილის მამულიშვილურ ქართველობას. ასე მსუბუქად 370.000 მანეთს დააკლდება და ქართველთა საზოგადოების ხელიდან წაგლეჯვა მყიდველთა სასარგებლოდ, ხომ შეიძლება აიხსნას მიდგომილებად?“

ექვთიმე თაყაიშვილიც ადასტურებდა, რომ მიხეილ მაჩაბელი ფაქტებს აყალბებდა, რომ ალექსანდრე მართლა იძლეოდა გაყიდულთან შედარებით მეტ თანხასო.

სადავო გამხდარა ისიც, თუ რა სახით და რამდენს გადაუხდიდნენ ნებას აღმასრულებლები, ანუ „ამხანაგობა“ საზოგადოებებს, რადგან ირკვევა, 1917 წელს გაყიდულ ფირმებში აღებული თანხა ფულის ინფლაციის გამო 1920 წელს დიდ ღირებულებას აღარ წარმოადგენდა.

მიხეილ მაჩაბლის წერილებიდან ჩანს, რომ ექვთიმე თაყაიშვილი ყოფილა მომხრე, რომ „ამხანაგობას ეყიდა ფირმა დასახელებული თანხით. მაგრამ, როგორც ამას ექვთიმე წერდა, იმ მოტივით მიუცია ნება, რომ 1917 წელს გაყიდულის თანხა მაშინვე გადაეხადათ საზოგადოებათათვის, რადგან მშვენივრად ჰქონია გათვლილი მოსალოდნელი ფულის გაუფასურება. იმის პირობაც არ ყოფილა, რომ 1917 წელს გაყიდული ქონების თანხა 1920 წელს მიეცათ. „ამხანაგობის“ წევრი მაჩაბელი ცდილობდა დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ ფირმის ყიდვით იზარალა „ამხანაგობამ“, ხოლო თუკი ლონდონში ქართულ კონიაკს გაიტანდნენ, მხოლოდ „ამხანაგობის“ გულითადი მუშაობის შედეგი იქნებოდა. გამოდის, რომ მათ სურდათ, ძველი კურსით გადაეხადათ თანხა საზოგადოებათათვის — ცდილობდნენ საქმის ვითარება თავიანთ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ.

ამაზე ბატონი ექვთიმე, რომელიც კარგად იყო ჩახედული ყოველ წვრილმანშიც კი, მწვავედ რეაგირებდა: მისი აზრით, წაგებული კაცი ვერ გაიტანდა კონიაკს საზღვარგარეთ და თუ შეძლებდა, არცთუ ცუდად ყოფილა საქმე, როგორც მაჩაბელი გვიჩვენებსო. ადამ ფორაქიშვილის 1.300.000 მანეთი თუ იქცა მილიარდად, საზოგადოების ფულიც უნდა ქცეულიყო მილიარდად: „გაყიდვა 1917 წელს იყო მოხდენილი და ვკითხულობ და ვერ გამიგია, რატომ მაშინ არ მისცეს საზოგადოებას თავისი, თუ საზოგადოებანი თანხას ვერ გაზრდიდნენ, ანუ ვერ მოიხმარდნენ, ეს ხომ მათი საქმე იქნებოდა. მე მგონი, აქ დაუდევრობა იყო ანუ უბრალო ფორმალობა, რომ უფლება ჰქონდათ ექვსი წლის შემდგომაც მიეცათ ფული. სხვა ამგვარ შეცდომას გულწრფელად აღიარებდა, მაგრამ მიხეილ მაჩაბელი შევცდიო, ხომ არასოდეს არ იტყვის“ (№ 1016 დეკ. 19). მისი აზრით, ფორმალურმა სასამართლომ, შეიძლება გაამართლოს ნების აღმასრულებელნი, მაგრამ მათი განაჩენის გამომტანი „სინდისის სასამართლო“ იქნებაო.

დავით სარაჯიშვილი მეუღლესთან ერთად.

„სინდისის სასამართლოს“ ხსენებას მიხ. მაჩაბლის გაღიზიანება გამოუწვევია: „თაყაიშვილს ეგონა, რომ გაუადვილდებოდა პატიოსან მოღვაწეების ავაზაკებად გამოცხადება და „სინდისის სასამართლოთი“ ამათი ამაგისა და ქონების მითვისება“. ექვთიმეს კი მაჩაბელთან კამათი დროის დაკარგვად მიაჩნია, მაგრამ იძულებული იყო ეპასუხა: „აქ ბატონ მაჩაბელს და სხვა ნების აღმასრულებელთ მთელ კულტურულ საზოგადოებებთან აქვს საქმე, კიდეც რომ მოვინდომო მითვისება, ამას საზოგადოება დამანებებს?.. სხვისი ამაგი არ გვინდა, მაგრამ საზოგადოებათათვის ნაანდერძევს, თუ შევძელით, არავის გავატანთ“.

ამავე დროს ყოფილა საუბარი სარაჯიშვილების სახელობის მუზეუმის აშენებასთან დაკავშირებით. იმჟამინდელ საზოგადოებების კრებას, რომელსაც მიხ. მაჩაბელი დასწრებია, დაუდგენია: ყველა ფული რაც კი გადაეცემოდა საზოგადოებას, უნდა მოხმარებოდა ცალკე მუზეუმის აგებას. ეს დადგენილებაც ვერ აღსრულდა, საკმაო თანხის გადარიცხვა ვერ შეძლეს ნების აღმსრულებლებმა. ცალკე მუზეუმს თუ ვერ ააგებდნენ, თაყაიშვილის თქმით, სარაჯიშვილებს ქართულ მუზეუმში დაეთმობოდათ დიდი დარბაზი. რაც შეეხება ქართული მუზეუმისთვის სარაჯიშვილების სახელის მინიჭებას, ყოფილა ასეთი მოთხოვნაც. ექვთიმეს აზრით, ის ქართულ მუზეუმად დარჩებოდა და მას ერთი კაცის, ან ოჯახის სახელი არასდროს დაერქმეოდა. მაგრამ ერთი რამ გაურკვეველია... დ. სარაჯიშვილის უნიკალური სახლი ხომ შეიძლებოდა გადაქცეულიყო სახლ-მუზეუმად?! ანდერძის თანახმადაც, ეს სახლი ქალაქის თვითმმართველობას გადაეცა იმ პირობით, რომ მასში გახსნილიყო სამხატვრო გალერეა და სამეწარმეო მუზეუმი. სახლის გაყიდვა მიუტევებელი შეცდომა იყო ნების აღმასრულებელთა — მათ ამის არანაირი უფლება არ ჰქონდათ.

დავით სარაჯიშვილი სტუდენტობისას.

იმაზე, თუ როგორ დასრულდა დავა ანდერძთან დაკავშირებით, გვესაუბრა სარაჯიშვილთა ბიოგრაფიის მცოდნე და ამავე საგვარეულოს წარმომადგენელი **გოგი სარაჯიშვილი:**

— ეს საკითხი შეუსწავლელია, ვინ იყო მართალი, ძნელი გასარჩევია. არ შეიძლება ითქვას, რომ აი, ამან აიღო და მიითვისაო. ამის დოკუმენტები ნაკლებად გაგვაჩნია. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში რომ გაგრძელებულიყო, ყველაფერი გაირკვეოდა, მაგრამ მოვიდნენ ბოლშევიკები, ქვეყანა აირია და დავითის სახელსაც ტაბუ დაედო. 1920 წელს ფირმა და „ამხანაგობაც“ დაიხურა და დავაც ამით დასრულდა.

— ვერ მოხერხდა დავით და ეკატერინე სარაჯიშვილებისთვის ცალკე მუზეუმის აშენება, მაგრამ ხომ შეიძებოდა მათი სახლი ქცეულიყო სახლ-მუზეუმად. რატომ გაიყიდა იგი?

— დავითის გარდაცვალების მეორე დღესვე მისულ დუმის წარმომადგენლებისთვის ეკატერინე სარაჯიშვილსაც მიუცია ნება, ჩაებარებინათ სახლი უძრავ-მოძრავი ქონებითურთ, რათა, ანდერძის თანახმად, გახსნილიყო სამხატვრო გალერეა და სამეწარმეო მუზეუმი. მაგრამ დუმას წაუყრუებია ამ საქმისთვის. ამით ცუდი როლი შეუსრულებია. სახლი არაჩვეულებრივ ევროპულ სტილში ყოფილა მოწყობილი: წინ ხელოვნურ კლდეზე ჯიხვი მდგარა, ცოცხალი არწივიც ჰყოლიათ, ჰქონიათ მხატვრების ნამუშევართა ორიგინალები, ძვირფასი ნაჩუქარი ნივთებიც... სამწუხაროდ, ოციან წლებში სახლი გაუყიდიათ ნების აღმასრულებელთ, რაც უდიდესი შეცდომა იყო. დავითის დის შვილიშვილის ნიკო ტარსაიძის გადმოცემით ვიცი, რომ საზოგადოებებსაც სდომებიათ სახლის გაყიდვა, რათა აღებული თანხით რაღაც გაეკეთებინათ, ალბათ, იმიტომაც, რომ აპირებდნენ ცალკე მუზეუმის აშენებასაც. ახალი მფლობელის, კომერსანტ ხოშტარიას ხელში შენობას იერი უცვლია. ამბობდნენ, მას უნდოდაო დავითის ნაცხოვრების კვალის წაშლა, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება, რადგან შენობას აწერია აშენების თარიღი, კარზე დიდი ინიციალებია: „დ. ს.“ კარიც რომ ჩამოეხსნა და გადაეგდო, მაშინ რაღაცას იფიქრებდა კაცი, მაგრამ კარი დღესაც იქ არის.

— ამჟამად მაინც თუ დგას დღის წესრიგში სახლის დაბრუნებისა და მუზეუმად გადაკეთების საკითხი?

— ეს იქნებოდა ერისთვის შესანიშნავი რამ. დღეს მწერალთა კავშირია იქ განთავსებული. მე იმით ვარ კამყოფილი, რომ მაქსიმალურად უვლიან შენობას. ახლა რომ ჰკითხოთ ხოშტარიას შთამომავალთ, თქვენ ხომ არ იქნებით წინააღმდეგი, რომ პირვანდელი სახე დაუბრუნდეს დავით სარაჯიშვილის სახლსო, ეჭვიც არ მეპარება, რომ ისინი შეგნებით ეკიდებიან ამ საკითხს. მაგრამ მე მაინც ასე ვიტყოდი: მოდი, მივანდოთ დროს, დღესდღეობით გამოსავალი ესაა...

— ქართულ მუზეუმში თუ მაინც არის გამოყოფილი ცალკე ოთახი?

— სამწუხაროდ, არა... მაგრამ მაინც ბედნიერად უნდა ჩავთვალოთ თავი, რომ ყველაფერი, რაც დავითს ღირებულად მიაჩნდა, შენარჩუნებულია. ნათესაობა იმ ძნელბედობისას იძულებული იყო, გაეყიდა ზოგი რამ, მათ შორის, ერთ-ერთი პირველი, საუკეთესო როიალიც, რომელიც ამჟამად დიდი საზოგადო მოღვაწის სახლში ინახება. ვიცი, სადაც არის დავითისეული კარადებიც... ასე დაფანტული ძალიან ცოტაა. ბევრი ნივთია თბილისში ხელოვნების, ლიტერატურის, ჯანაშიას სახელობის, წინანდალში ალ. ჭავჭავაძის მუზეუმებში, აგრეთვე, არქივსა და მწერალთა კავშირის საცავებში. ჯანაშიას მუზეუმშია შენახული სამეული, რომელზეც ამოტვიფრულია ჯიხვი, რომელიც ამშვენებს დავითის კონიაკის ნაწარმს. მწერალთა კავშირში არის მისი მაგიდის საათი.

— არის თუ არა ისეთი რამ, რაც არ დაწერილა დავით სარაჯიშვილზე და რისი თქმა შეგიძლიათ საზოგადოებისთვის?

— მიხარია, რომ მეძლევა საშუალება, ვისაუბრო დავითზე. იგი უმსხვილესი კაპიტალისტი იყო, რაც არ მოსწონდათ კომუნისტებს. ამეკრძალა მასზე არათუ საუბარი, არამედ ნივთიც არ უნდა გქონოდა მასთან დაკავშირებული. ამიტომაც ვმალავდი უნიკალურ ფირს, რომელზეც დავით სარაჯიშვილის დაკრძალვის ცერემონიაა აღბეჭდილი. 1964 წელს უკვე შეიძლებოდა მასზე რამის თქმა. მეცნიერმა ეკონომისტმა არჩილ სტეფანიშვილმა ჩემი დახმარებით დაწერა დავითის ბიოგრაფია და ამით ტაბუ აეხადა დავითის სახელს. წელს კი განსვენებულთ პანაშვიდი გადაუხადეს ქაშუეთის ეკლესიაში. ეს სასიხარულო ფაქტი იყო.

მინდა, რომ დღევანდელი ბიზნესიც განვითარდეს დავითისებურად... მხოლოდ ეკონომიკურ სიძლიერეს შეუძლიათ ჩვენი გადარჩენა. თუ არ ვიმუშავეთ, გამორიცხულია, რომ ვინმე ამერიკელმა, რუსმა თუ სხვა ბიზნესმენმა გვიპატრონოს.

დავითზე ბევრი რამ დაიწერა... მეცხრე კლასისა და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებშიც არის შეტანილი დავითის ბიოგრაფია, მაგრამ დავითის ფენომენი მაინც შეუსწავლელია... მას აქვს ისეთი ბრძნული გამონათქვამები, რომლის მსგავსი არავის დაუწერია. ამას აუცილებლად გამოვაქვეყნებ. შეუსწავლელია ის, რაზეც დღეს ვისაუბრეთ. ანდერძს ვგულისხმობ.

ერთი რამ მიკვირს მეღვინეებისგანაც... თქვენ რომ მიხვიდეთ ავჭალაში, კონიაკის ქარხანაში ნახავთ ორ მუზეუმს. ერთში გამოფენილია ის მედლები, ორდენები, თასები და პრიზები, რაც კი მიუღია დღემდე ამ ქარხანას. აქედან 14 მედალი დავითისაა, მაგრამ რატომღაც მიფუჩეჩებულია დავითის ღვაწლი ლიქიორის წარმოებაში. შარშან შესრულდა 140 წელი ეკატერინეს დაბადებიდან. ამასთან დაკავშირებით, ჩემი სურვილია გამოვიდეს ლიქიორი „ეკატერინე სარაჯიშვილი“. ეს თუ მოხდება, იგი უდიდესი საჩუქარი იქნება მთელი საგვარეულოსთვის. მე თქვენი ახალგაზრდობის იმედი უფრო მაქვს, მჯერა, რომ ჯეროვნად შეაფასებთ ჩვენი წინაპრების ღვაწლს და შესაბამის პატივსაც მიაგებთ.

თამარ ბერულავა.

- **ჯორჯ ბუში: ხელისუფლება გადაეცეს ერაყელ ხალხს**
- **ინდოეთ-ჩინეთის საზღვაო წვრთნა**
- **გაიხსნა მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცათამბჯენი**

ამერიკელებს ერაყში რთული ამოცანების გადაწყვეტა უხდებათ

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა იღებს ზომებს, რომლებმაც უნდა დააჩქარონ ერაყში ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხელისუფლების გადაცემის პროცესი.

„ჩვენ გვსურს, რომ ერაყელები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ თავიანთი ქვეყნის მართვაში“, — აღნიშნა ბუშმა თეთრ სახლში ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას.

ერაყში სულ უფრო მზარდი დანაკარგების ფონზე საფრანგეთმა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ერაყში შეჭრას, მოუწოდა შეერთებულ შტატებს სასწრაფოდ შეცვალოს თავისი სტრატეგია ამ ქვეყანაში. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს არა აქვს დაგეგმილი ჯარების გამოყვანა ერაყიდან მანამ, სანამ, როგორც ამას ამერიკელთა წარმომადგენლები აცხადებენ, ერაყში არ ჩამოყალიბდება დემოკრატიული საზოგადოება.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის განცხადებით, ამას, შესაძლოა, სულ ცოტა ორი წელი მაინც დასჭირდეს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდა შეცვალოს სტრატეგია ერაყში და აღნიშნა, რომ საფრანგეთის წარმომადგენლები მზად არიან ვაშინგტონთან ერთად განიხილონ ახალი გეგმა. „მეტის დაყოვნება აღარ შეიძლება“, — დასძინა საფრანგეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა.

ვაშინგტონში კი, როგორც უკვე ვიტყობინებოდით, დასრულდა ორდღიანი კონსულტაციები, რომელშიც მონაწილეობისათვის ბაღდადიდან სასწრაფოდ გამოიძახეს ერაყში ამერიკელთა ადმინისტრაციის მეთაური პოლ ბრემერი. კონსულტაციების დასრულების შემდეგ, რომელთა ფარგლებში ბრემერი შეხვდა და ეთათბირა ბუშს, ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის, თავდაცვის მინისტრს დონალდ რამსფელდს, სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსს ჯორჯ ტენეტს და ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტ ბუშის თანაშემწეს კონდოლიზა რაისს. მან განაცხადა, რომ ბაღდადში დაბრუნების შემდეგ შეხვდება ამერიკელების მიერ დანიშნული მმართველი საბჭოს წევრებს და მათთან ერთად განიხილავს ერაყის ახალი მთავრობისთვის ხელისუფლების ფორსირებული გადაცემის საკითხებს. ეს საკმაოდ რთული ამოცანა იქნება, ალიარა ბრემერმა.

ბრემერის ვიზიტი ვაშინგტონში სრულიად მოულოდნელად დაემთხვა საიდუმლო მოხსენების შესახებ პრესაში ინფორმაციის გაჟონვას, რომელიც გასულ უქმე დღეებში გაუგზავნა ქვეყნის ხელმძღვანელობას ბაღდადში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეზიდენტურის მეთაურმა.

გაზეთი „ფილადელფია ინქუაირერი“, რომელმაც ყველაზე დეტალურად გამოაქვეყნა ამ მოხსენების ტექსტი, წერს, რომ დოკუმენტში ძალზე „მუქ ფერებშია“ წარმოდგენილი ერაყში შექმნილი ვითარება.

ამ მომენტისათვის ვაშინგტონი ახორციელებს პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლის ესკალაციას და, ამავე დროს, შეეცდება დააჩქაროს ერაყელებისათვის ხელისუფლების გადაცემის პროცესი. როგორც მოხსენებაშია ხაზგასმული, ამ ორივე პრობლემის გადაჭრა დიდ რისკთანაა დაკავშირებული.



პარტიზანების წინააღმდეგ ოპერაციათა გააქტიურება აუცილებლად გამოიწვევს მსხვერპლს მშვიდობიან მოსახლეობაში. ეს კი, თავისთავად კიდევ უფრო ნეგატიურად განაწყობს უბრალო ერაყელებს ამერიკელების მიმართ. რაც შეეხება ხელისუფლების გადაცემას, როგორც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აღნიშნავს, ერაყში ჯერჯერობით არც ერთ ომისშემდგომ ლიდერს ან ორგანოს არ ძალუძს ქვეყნის გაძღოლა, ერაყის ახალი კონსტიტუციის შექმნა და სამართლიანი არჩევნების გამართვა.

ორი ქვეყნის ურთიერთობა თანდათანობით ნორმალური ხდება

ჩინეთი და ინდოეთი ემზადებიან პირველი ერთობლივი საზღვაო წვრთნისათვის, რომელიც შანჰაის მახლობლად გაიმართება.

ეს წვრთნა ადასტურებს, რომ მსოფლიოში ამ ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყნების მთავრობათა შორის ურთიერთობა თანდათანობით ნორმალური ხდება.

ორმოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩინეთსა და ინდოეთს შორის მოხდა ხანმოკლე, მაგრამ საკმაოდ სისხლისმღვრელი საზღვრისპირა ომი, რის გამოც მთელი ამ დროის განმავლობაში საკმაოდ დაძაბული იყო ამ ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთობა.

ინდოელი მეზღვაურების ვიზიტი შანხაიში შედგა იმ საზღვაო წვრთნის შემდეგ, რომელიც ჩინეთმა გამართა ოქტომბერში თავის სამხრეთ-აზიელ მოკავშირესთან — პაკისტანთან ერთად.

როგორც ოფიციალურად აცხადებენ, ამჟამინდელი წვრთნის მიზანი იქნება ზღვაზე საძიებო და სამაშველო ოპერაციათა დამუშავება. თუმცა, ვარაუდობენ მეთვალყურეები, ამ ღონისძიების გამართვით ჩინეთს სურს ხაზი გაუსვას საერთაშორისო ასპარეზზე თავის მზარდ და მნიშვნელოვან როლს.

ჩინეთს ემადლიერება ვაშინგტონი იმის გამო, რომ პეკინმა მხარი დაუჭირა ბუშის ადმინისტრაციას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და მზად არის ხელი შეუწყოს ჩრდილოეთ კორეის ირგვლივ წარმოქმნილი კრიზისის მოწესრიგებას. მნიშვნელოვანწილად, პეკინის დამსახურებაა ის, რომ ფხენიანი დათანხმდა მოლაპარაკებას ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის შესახებ.

წვრთნა მოწმობს, რომ თანდათანობით ნორმალურ კალაპოტში შედის დელის და პეკინის ურთიერთობა, რომელიც განსაკუთრებით დაიძაბა ხუთი წლის წინათ, როცა ინდოეთმა განახორციელა პირველი ბირთვული გამოცდა.

ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობა დამყარდა მხოლოდ მიმდინარე წლის აპრილში, როცა ინდოეთის თავდაცვის მინისტრი ეწვია ჩინეთს. მან მოამზადა ნიადაგი ამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში პეკინში ინდოეთის ლიდერის პირველი ვიზიტისათვის. ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ატალ ბიჰარი ვაჯპაი მიმდინარე წლის ივნისში ეწვია პეკინს.

ამავე დროს, ინდოეთ-პაკისტანის დაძაბული ურთიერთობის გათვალისწინებით, პეკინმა დაარწმუნა ისლამაბადი, რომ ინდოეთთან კონტაქტების დამყარება არანაირად არ აისახება ჩინეთისა და პაკისტანის ურთიერთობაზე.

ბრიტანეთს ორმაგი სტანდარტების გამოყენებაში ადანაშაულებენ

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ ახმედ ზაკაევის საქმის შესახებ ლონდონის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება აყენებს დარტყმას ორი ქვეყნის პარტნიორობას.

მოსამართლე ტიმოთი უორკმანმა გამოიტანა დასკვნა, რომ „რუსეთის მხარის მოთხოვნას ზაკაევის გადაცემის შესახებ, პოლიტიკური მოტივი აქვს. ბატონი ზაკაევი არ უნდა გადაეცეს რუსეთის ფედერაციას“, — აღნიშნა მოსამართლემ და დასძინა, რომ ზაკაევი თავისუფალია.

მაგრამ მოსკოვი არ ეთანხმება ლონდონის სასამართლოს ასეთ გადაწყვეტილებას. „ასეთი ვერდიქტი დიდ გულისტკივილს იწვევს რუსეთ-ბრიტანეთის ურთიერთობის პოზიტიური განვითარების ფონზე“, — ხაზგასმულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

„აშკარად ჩანს, რომ ბრიტანეთის ხელისუფლება მიმართავს, ეგრეთ წოდებულ, „ორმაგ სტანდარტებს“: სიტყვით იგი მხარს უჭერს ტერორიზმის აღმოფხვრას მისი გამოვლინების ყველა ფორმით, საქმით კი თავშესაფარს აძლევს ტერორისტებს თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე“, — მიაჩნია რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ უწყებას.

ზაკაევის დაცვა ამტკიცებდა, რომ ჩეჩენ სეპარატისტთა წარმომადგენელს რუსეთში, შესაძლოა წამება ემუქრებოდეს. რუსეთის მხარე კი დაჟინებით აცხადებდა, რომ შეაგროვა მნიშვნელოვანი რაოდენობის მასალები ზაკაევის საწინააღმდეგოდ.

მოსკოვი ზაკაევს ადანაშაულებს 1995-2000 წლების პერიოდში ადამიანების მკვლელობასა და გატაცებაში.

ლონდონის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე უკვე მოახდინა რეაგირება რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ სერგეი იასტრჟემბსკიმ. მისი თქმით, ლონდონის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება შევაფასოთ, როგორც ტერორიზმის გამართლების მცდელობა.

„ბრიტანეთის მართლმსაჯულებას საკმაოდ უცნაური წარმოდგენა ჰქონია სამართლიანობაზე, — აღნიშნავდა იასტრჟემბსკი. — რუსეთში პოლიტიკური შეხედულებებისათვის არავის არ სდევნიან“.

გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ შესაძლოა შეიტანოს აპელაცია ლონდონის სასამართლოს მიერ ხუთშაბათს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

თავის მხრივ, სამოქალაქო თავისუფლების ფონდის წარმომადგენელმა ალექს გოლდფარბმა აღნიშნა, რომ ზაკაევის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს არანაირი იურიდიული საფუძველი არ ჰქონდა და იგი მთლიანად პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი.

მილიარდნახევარ დოლარზე მეტი დაჯდა

პარასკევს ტაივანში გაიხსნა მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობა — 101-სართულიანი ცათამბჯენი, რომელშიც განლაგდება ოფისები, სავაჭრო ცენტრი და ობსერვატორია.

ამ 508 მეტრი სიმაღლის შენობის მფლობელები, რომელსაც „ტაიპეი-101“ უწოდეს და, რომლის მშენებლობაც 1,7 მილიარდი ამერიკული დოლარი დაჯდა, უკვე მიმდინარე წლის დამლევამდე აპირებენ გააქირაონ სათავსების ნახევარი მაინც.

ახალმა ცათამბჯენმა პირველობის შტო ჩამოართვა კუალა-ლუმპურის 452-მეტრიან „Petronas tower“ კომპს, რომელიც აქამდე მსოფლიოში უმაღლეს შენობად ითვლებოდა.

თუმცა, უკვე გაჩაღდა კამათი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს „ტაიპეი-101“ ყველაზე მაღალ ცათამბჯენად.

ოქტომბერში მაღლივი შენობებისა და საქალაქო ბინების საბჭომ განაცხადა, რომ ტაივანის შენობა ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს ყველა იმ კრიტერიუმს, რომელთა მიხედვითაც იგი შესაძლოა ცნონ მსოფლიოში ყველაზე მაღალ ნაგებობად.

როგორც საბჭოს თავმჯდომარემ რონ კლემენჩიჩმა თქვა, საიმისოდ, რომ შენობას მიენიჭოს მსოფლიოში უმაღლესი ნაგებობის ტიტული, იგი მთლიანად იყოს დაკავებული და გამოიყენებოდეს დანიშნულებისამებრ.

ტაიბეის ხელისუფლებამ გამართა სატრანსპორტო პოლიციის სპეციალური წვრთნა, რათა მოემზადებინა იგი სავაჭრო ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით ქალაქის ქუჩებში მანქანათა, ეგრეთ წოდებული, „საცობების“ შესაძლო წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად. ადგილობრივ მცხოვრებლებს ხელისუფლება ურჩევს ახალ შენობასთან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მივიდნენ.

არსებობს იმის საშიშროებაც, რომ „ტაიპეი-101“, შესაძლოა, არ იყოს მზად მიწისძვრებისთვის. თუმცა, შენობის დამპროექტებლები აღნიშნავენ, რომ მათ „ქმნილებას“ რაიმე სერიოზული საფრთხე ამ მხრივ არ ემუქრება.

როგორც მოელიან, შენობაში ყველა სამუშაო 2004 წლისათვის უნდა დასრულდეს, მაგრამ, ალბათ, იგი დიდხანს ვერ დარჩება მსოფლიოში უმაღლეს ნაგებობად. ჩინელი ინჟინრები ამტკიცებენ, რომ შანჰაის მსოფლიო საფინანსო ცენტრის შენობა, რომლის აგება 2007 წლისათვის დასრულდება, უფრო მაღალი იქნება.

ამერიკელი მეცნიერების მიღწევა

ამერიკის შეერთებულ შტატებში მეცნიერებმა შეიმუშავეს დნმ-ს წარმოების ახალი ხერხი, რომელიც მათი მტკიცებით, შეიძლება გამოიყენონ სიცოცხლის ახალი ფორმების შესაქმნელად.

ბიოლოგიურ ალტერნატივათა ინსტიტუტის მკვლევარები აცხადებენ, რომ სულ რაღაც ორ კვირაში შეძლეს შეექმნათ ვირუსის გენეტიკური თანამიმდევრობა.

მეცნიერებმა აიღეს დნმ-ს რამდენიმე უბანი და შეაერთეს ისინი, შექმნეს ვირუსის სრული გენომი, რომელიც სავსებით უსაფრთხოა და კარგადაა ცნობილი მედიცინისათვის. მისი ხელოვნური ვერსია ისევე იქცევა, როგორც ბუნებრივი.

პროექტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ხანგრძლივი პერსპექტივისათვის მისი მიზანია შექმნას სიცოცხლის ახალი ფორმები.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა ზაზა ბეჟანიძემ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ღვაწლი

რატომ მოიხსენიებდნენ ძმებ კაკაბაძეებს „კაფკაბაძეებად“?

ცნობილ ქართველ მეცნიერს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ ნოდარ კაკაბაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ქართული დასავლეთმცოდნეობის ამაგდარი უკვე სამოცი წელია, რაც უაღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო ძიებას, პედაგოგიურ საქმიანობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. ამ ხნის მანძილზე მან ახალგაზრდა მეცნიერთა მთელი თაობები აღზარდა. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მას ქართველ გერმანისტთა აღზრდაში: სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანისტიკის განყოფილების თითქმის ყველა კურსდამთავრებული სწორედ მისი ლექციებით ეზიარა XX საუკუნის გერმანულსა და საზოგადოდ დასავლურ ლიტერატურას.

ნოდარ კაკაბაძე წლების მანძილზე იყო დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი. ამჟამად ის ხელმძღვანელობს საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრას, არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი საბჭოს წევრი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, მრავალი წარმატებული სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის სამეცნიერო შრომებისა და კოლეგათა და ნამოწაფართა წიგნების რედაქტორი.

მისი პედაგოგიური მოღვაწეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტით. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნოდარ კაკაბაძეს გარკვეული ღვაწლი მიუძღვის ქუთაისის უნივერსიტეტის საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრის დიდ წარმატებებში. მიუხედავად მოუცლელობისა იგი ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა და თანამშრომლობს ამ კათედრასთან, ესწრება საასპირანტო გამოცდებს, ხელმძღვანელობს ასპირანტებს, კითხულობს ლექციებს.

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტისა მთელი უნივერსიტეტის, საერთოდ, ქართველი მკითხველი საზოგადოების ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა საჯარო ლექციები, რომელზეც ნოდარ კაკაბაძე ჩვეულებრივ რომელიმე უცნობ თანამედროვე მწერალს ან ნაწარმოებს აცნობდა მსმენელს.

ცნობილი მეცნიერისა და მკვლევარის, ნოდარ კაკაბაძის სახელი ქართული საზოგადოებისათვის კარგად ცნობილია, უპირველეს ყოვლისა, როგორც თომას მანის შემოქმედებაზე ღრმა და საფუძვლიანი გამოკვლევების ავტორის, რომელსაც ანგარიშს უწევენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ თომას მანის სამშობლოშიც.

თომას მანის შემოქმედების სხვადასხვა პრობლემას ნოდარ კაკაბაძის ოთხი წიგნი და არაერთი სტატია ეძღვნება. მათ შორისაა მონოგრაფიები: „თომას მანის ადრეული შემოქმედება“ (თარგმნილია რუსულად და გერმანულად), „თომას მანის რომანის პოეტიკა“, „თომას მანის შემოქმედების წახნაგები“ და „თომას მანი“. ეს შრომები არა მხოლოდ პირველი გამოკვლევები იყო თომას მანის შესახებ საქართველოში, არამედ ბევრ ისეთ საკითხსა და პრობლემაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომელიც იმ დროს გერმანულენოვან კრიტიკაშიც ნაკლებად, ან სრულიად არ იყო შესწავლილი. მაგალითად, პირველად იქნა მონოგრაფიულად შესწავლილი თომას მანის ადრეული შემოქმედება: „ბუდენბროკებამდე“ შექმნილი მცირე ნაწარმოებები და ლირიკა. დიდი ერუდიცია საშუალებას აძლევს მკვლევარს გააშუქოს თომას მანის რთული და წინააღმდეგობრივი შემოქმედებითი დამოკიდებულება სხვადასხვა დროის ისეთ მნიშვნელოვან ფიგურებთან, როგორებიც გოეთე, დოსტოევსკი, ნიცშეა.

საგულისხმოა, რომ ნოდარ კაკაბაძის მიმოწერა ჰქონდა თომას მანის ოჯახთან, განსაკუთრებით მანის უფროს ქალიშვილ ერიკა მანთან, რომელიც მამის სიცოცხლეშივე ერთ-ერთი პირველი შემფასებელი იყო თომას მანის ყოველი ახალი ნაწარმოების, ხოლო თომას მანის გარდაცვალების შემდეგ კი – მისი არქივის პირველი შემსწავლელი რომელმაც გამოაქვეყნა თომას მანის წერილები. უთუოდ გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამგვარ კონტაქტებს, მით უმეტეს იმ პერიოდში, როდესაც ამგვარი შესაძლებლობა თითქმის არ არსებობდა და ხშირად არცთუ უხიფათო იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნოდარ კაკაბაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ამ თვალსაზრისითაც. ეს წერილები დაცულია ერიკა და კლაუს მანების არქივში მიუნჰენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. თომას მანზე გამოკვლევებმა რამდენადმე დაჩრდილა ნოდარ კაკაბაძის პირველი წიგნი „ჰაინრიჰ მანის ცხოვრება და შემოქმედება“ (ზუსტად ისევე, როგორც თომას მანმა დაჩრდილა თავისი ძმა). მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ეს მონოგრაფიაც, ისევე, როგორც ნოდარ კაკაბაძის ბევრი გამოკვლევა ჰაინრიჰ მანის შემოქმედების პირველი ანალიზი იყო ჩვენს ქვეყანაში.

ნოდარ კაკაბაძის სახელს უკავშირდება არაერთი გერმანულენოვანი ავტორის შემოყვანა ქართულ კულტურაში. ამ ავტორთა თარგმნა და მათი შემოქმედების ანალიზი არა მარტო თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს აცნობდა ქართველ მკითხველს, არამედ იმ ნოვატორულ ტენდენციებს, რომელიც დასავლურ ლიტერატურაში მიმდინარეობდა და რომელსაც საბჭოთა იდეოლოგია საგულდაგულოდ უკეტავდა კარს. ამიტომ ყოველი ამგვარი თარგმანი და სტატია შემოქმედებით და მოქალაქეობრივ გაბედულებას წარმოადგენდა და მნიშვნელოვან მოვლენად იქცეოდა ხოლმე. ასეთ მოვლენად იქცა თავის დროზე ინგებორგ ბახმანის, გუნთერ აიჰის ლექსების, პაულ ცელანის „სიკვდილის ფუგის“ პირველი თარგმანი ქართულად. ამ ნაწარმოებთა პოეტიკა იმდენად ნოვატორული იყო, რომ ტრადიციულ პოეზიაზე აღზრდილ მკითხველში დაბნეულობას, ან სულაც აღშფოთებას იწვევდა (მაგ. ასეთი აღშფოთება მოჰყვა ჟურნალ „საუნჯეში“ გამოქვეყნებულ ლექსს „ჩეჩმა“).

ამ ავტორთაგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ფრანც კაფკა, რომლის თარგმნას და შესწავლას ნოდარ კაკაბაძემ ჩაუყარა საფუძველი. მის მიერ თარგმნილი კაფკას ნაწარმოები „ყოველდღიური აღრეულობა“ პირველი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელი მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამ თარგმანს შემდეგ მეორე თარგმანი მოჰყვა – „შიმშილის ხელოვანი“ და წერილები კაფკას შემოქმედებაზე. მათ შორის „თომას მანი და ფრანც კაფკა“, რომელიც ამ ორი ავტორის მხატვრული მეთოდის პირველ შეპირისპირებულ ანალიზს წარმოადგენს. ერიკა მანის წერილიდან ვიგებთ, რომ მას ეს სტატია თომას მანის არქივისთვის გადაუცია.

ქართულ კულტურაში კაფკას შემოტანაზე საუბრისას, შეუძლებელია არ ვახსენოთ მეორე პიროვნება, რომელსაც ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის კაფკას რთული, ფილოსოფიური შემოქმედების შესწავლაში. ეს იყო ზურაბ კაკაბაძე ბრწყინვალე ფილოსოფოსი, ერუდიტი, მრავალი წერილის ავტორი დასავლური ლიტერატურისა და კინოხელოვნების შესახებ. ძმები კაკაბაძეების გატაცება კაფკათი იმდენად დიდი იყო, რომ მათ ხუმრობით „ძმებ კაფკაბაძეებად“ მოიხსენიებდნენ, ზოგი კი (ალბათ ისინი, ვისთვისაც კაფკას პოეტიკა მიუღებელი და გაუგებარი და ამიტომ გამაღიზიანებელიც აღმოჩნდა) ირონიულად „ძმებ კაფკაბაძიებს“ უწოდებდა.

ნოდარ კაკაბაძის ინტერესების სფერო მხოლოდ ევროპული ლიტერატურით არ შემოიფარგლება. კრებულში „პორტრეტები და სილუეტები“ თომას მანის, ჰაუპტმანის, ფრანც კაფკას პორტრეტების გვერდით გვხვდება გერონტი ქიქოძის, ერეკლე ტატიშვილის დიდი სიყვარულითა და მოწიწებით დახატული პორტრეტები. ორივეს ნოდარ კაკაბაძე თავის დიდ მასწავლებლებად მიიჩნევს, არა მხოლოდ დასავლური ლიტერატურის შესწავლისა და თარგმნის თვალსაზრისით, არამედ თვით წერის მანერითაც, რადგან კრებულში წარმოდგენილი დახვეწილი ესეისტურ წერილებით ავტორი არსებითად მათ გზას აგრძელებს (სხვათა შორის, წიგნი „თომას მანის შემოქმედების წახნაგები“ გერონტი ქიქოძის ნათელ ხსოვნას ეძღვნება.)

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ნოდარ კაკაბაძის წერილები, რომლებიც ხელოვნების ისეთ დარგებს მოიცავს, როგორიც თეატრი და კინოხელოვნებაა. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ლიტერატურაში ნოდარ კაკაბაძე უპირველესად იმ ნაწარმოებებით ინტერესდება, რომელიც ნოვატორობით, ახალ გამომსახველობითი ფორმების ძიებით არის აღბეჭდილი. ნოდარ კაკაბაძეს ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც ღრმა და ფაქიზი ანალიზი გაუკეთა ქართული კულტურისათვის ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიც ოთარ იოსელიანის ფილმები, ან რობერტ სტურუას სპექტაკლებია. მასვე ეკუთვნის სტატიები თენგიზ აბულაძის „მონანიებაზე“, თემურ ჩხეიძის, გოჩა კაპანაძის სპექტაკლებზე, ფელინის ფილმზე „რვანახევარი“ და სხვ. ეს სტატიები მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ამ ნაწარმოებთა ახალი ესთეტიკა, სამყაროს ახლებური მხატვრული ხედვის ის ერთიანი პროცესი, რომელმაც XX საუკუნეში ხელოვნების ყველა დარგში იჩინა თავი.

ნოდარ კაკაბაძის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთ წახნაგს ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობების შესწავლაც წარმოადგენს. წიგნი „კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში“ ამგვარი მრავალწლიანი კვლევის შედეგია.

ნოდარ კაკაბაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. მიუხედავად ასაკისა იგი აქტიურად მონაწილეობს სალიტერატურო ცხოვრებაში. ამის მკაფიო მაგალითია „საბას“ ლიტერატურული კონკურსი. ისევე როგორც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ნოდარ კაკაბაძე ამ შემთხვევაშიც იმ ნაწარმოებთა მხარეზე აღმოჩნდა, რომელშიც ახალი გამომსახველობითი ფორმები, ნოვატორული ძიებები დაინახა.

ნოდარ კაკაბაძის ღვაწლი ღირსეულად დაფასდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე კატეგორიულად წინააღმდეგი იყო პომპეზური საიუბილეო საღამოების და ჯილდოების და ამდენად ხშირად უარს ამბობდა იმაზე, რისთვისაც სხვანი ხშირად იბრძვიან.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის საერთაშორისო აღიარება, რომელიც მისმა მოღვაწეობამ მოიპოვა. ნოდარ კაკაბაძე არჩეულია მრავალი საერთაშორისო საზოგადოების საპატიო წევრად, მათ შორისაა თომას მანის, ჰაინრიჰ მანის, ჰაუპტმანის, შილერის, ჰელდერლინის, „ფაუსტის“ და გოეთეს საერთაშორისო საზოგადოებები. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ნოდარ კაკაბაძის ურთიერთობა გოეთეს საერთაშორისო საზოგადოებასთან. იგი დაჯილდოებულია გოეთეს საზოგადოების საპატიო სიგელით. საქართველოში გოეთეს საზოგადოების ჩამოყალიბების შემდეგ იგი წლების მანძილზე იყო ამ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, შემდეგ კი – პრეზიდენტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ყველა მისი მეგობარი და კოლეგა გულითადად ულოცავენ დაბადების დღეს ბატონ ნოდარს, დღეგრძელობასა და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებენ ღვაწლმოსილ მეცნიერს.

**მანანა გელაშვილი,
თემურ კოზაკიძე.**

კრიმინალი

ყაჩაღებმაც დრო იხელთეს

ორ კვირაზე მეტია საქართველოს პოლიცია გადასულია მუშაობის სადღეღამისო რეჟიმზე. მობილიზებულია მთელი პირადი შემადგენლობა, რათა ქვეყანაში არ დაუშვას სამოქალაქო დაპირისპირება, არ მოხდეს ხალხის უსაფრთხოებისა და ქვეყნის კონსტიტუციური წყობის ხელყოფა.

ამასთან, შს სამინისტროს, სამხარეო და რაიონული პოლიციის ოპერატიული სამსახურები თვალს ადევნებენ კრიმინალური სამყაროს შესაძლო გამოხტომებს. აღიკვეთა ათობით სისხლის სამართლის დანაშაული, დაკავებულია რამდენიმე კრიმინალური დაჯგუფება და მათი წევრები.

13 ნოემბერს, შუაღამისას, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ბოროტმოქმედი თბილისში, ჭყონდიდელის ქუჩაზე ავტომანქანის დაუფლების მიზნით თავს დაესხა უშიშროების სამინისტროს უფროს ლეიტენანტს ჯარჯი ქაცანაშვილს, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მიაყენა ჭრილობა გულ-მკერდის არეში და გატაცებული ავტომანქანით „ვაზ-2121“ მიიმალა. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად თბილისის შს მთავარი სამმართველოსა და გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად დააკავეს ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი კახა მაღლაკელიძე, რომელიც საპასუხო სროლით ჯ. ქაცანაშვილმა ტაბელური იარაღიდან დაჭრა მუცელში. ავტომანქანა ამოღებულია.

5 ნოემბერს, ღამით, პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ქუთაისში მცხოვრებნი იმედა ძაგნიძე, მამუკა ნინიაშვილი და წყალტუბოს სოფელ ფარცხანაყანევში მცხოვრები ემზარ კოხრეიძე, რომლებიც კიდევ ერთ დაუდგენელ პირთან ერთად, ავტომატური იარაღებით შეიარაღებულნი თავს დაესხნენ სოფელ შუამთაში მცხოვრებ მერაბ ჩაფიძის კუთვნილ ავტოგასამართ სადგურს, საიდანაც გაიტაცეს 180 ლარი, 120 ლიტრი ბენზინი, ელექტროგენერატორი და მობილური ტელეფონი.

იმავე დღეს დააკავეს ნუცუბიძის პლატოს მე-4 მიკრორაიონში მცხოვრები გელა ნეფარიძე, რომელმაც მეტროპოლიტენის სადგურ „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორიიდან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გაიტაცა გრიბოედოვის ჩიხის № 5-ში მცხოვრებ ლაშა შაკაიას კუთვნილი ავტომანქანა „მერსედესი-124“. ავტომანქანა ამოღებულია.

თბილისში გაებნენ ბინის ქურდების ორგანიზებული ჯგუფის წევრები: ნასამართლევი ვაჟა ნიაური და ზაზა კუკულავა, რომლებმაც წინასწარი შეთანხმებით, თავიანთ ორ თანამზრახველთან ერთად, 3 თებერვალს, ღამის საათებში, თოკების გამოყენებით აივნიდან ფარულად შეაღწიეს ბახტრიონის ქ. № 19-ში მცხოვრებ შორენა სამარღანიშვილის ბინაში, საიდანაც გაიტაცეს ძვირფასეულობა და ფული. 15 თებერვალს, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ფარულად შეაღწიეს დიღმის მასივის მე-3 კვარტლის 33-ე კორპუსში მცხოვრებ გივი გიორგაძის ბინაში, საიდანაც გაიტაცეს აუდიო-ვიდეო ტექნიკა, ტელევიზორი, კომპიუტერი; 17 თებერვალს სპეციალურად დამზადებული მორგებული გასაღებისა და ძალაყინის მეშვეობით კარების დაზიანების შედეგად ფარულად შეაღწიეს ბახტრიონის ქუჩის № 13-ში მცხოვრებ ლალი ლორიას ბინაში, საიდანაც გაიტაცეს ძვირფასეულობა, სხვადასხვა დასახელების საოჯახო ნივთები, ამის შესახებ დაზარალებულებს პოლიციაში არ განუცხადებიათ. ნივთმტკიცება ამოღებულია.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უკვე რამდენჯერმე იუწყებოდა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცების ან გატაცების მცდელობის რამდენიმე შემთხვევაზე, რომელიც ციხეში დაიგეგმა. ქურდულმა სამყარომ ორ-სამჯერ შეძლო ამ ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა, მაგრამ პოლიციამ მაინც მოახერხა დანაშაულის გახსნა და ციხეში მყოფთა თანამზრახველების დაკავება. ოპერატიული ჩარევის გამო, ასევე განუხორციელებელი დარჩა ახლობლების გატაცების მუქარით ფულის გამოძალვის რამდენიმე შემთხვევა.

5 ნოემბერს თბილისის შს მთავარ სამმართველოში არსებული ოპერატიული მასალების საფუძველზე, სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოსა და იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ფულის გამოძალვის მცდელობის ფაქტზე ამხილეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის № 1 საპყრობილეში შესახლებული, მსჯავრდებული გიული ათაბეგაშვილი, რომელიც № 1 საპყრობილიდან, მობილური ტელეფონის საშუალებით, 26 და 27 ოქტომბერს საცხოვრებელი ბინისა და სამუშაო კაბინეტის ტელეფონზე დაუკავშირდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძეს, რომელსაც შვილიშვილის გატაცების მუქარით სძალავდა რამდენიმე ასეულ დოლარს.

6 ნოემბერს გარდაბნის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს კასპის რაიონის სოფელ გარიყულში მცხოვრები, ნასამართლევი, დავით ნავროზაშვილი და მარტვილის რაიონის სოფელ კიწიაში მცხოვრები მამედ შულაია, რომლებმაც მიმალვაში მყოფ თანამზრახველთან ერთად სოფელ გამარჯვებაში მცხოვრებ ნიკოლოზ ჯაჭვაძეს ბოსლიდან მოპარეს 5 ძროხა, რომელთაგან ორის დაკვლა მოასწრეს.

ჭიათურის ზონის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა კი 6 ნოემბერს დააკავეს ჭიათურაში მცხოვრები გიორგი შეყილაძე, რომელმაც სოფელ ნავარძეთში გაქურდა ეთერ კაპანაძე-კეზეროვას საფლავი.

პოლიცია განაგრძობს ყაჩაღების, ქურდებისა და ფულის გამომძალველების დაკავებას.



ვალერიან გოგოლაშვილი.

განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმვის, ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურის დეპარტამენტის თავმჯდომარე – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 125 ლარი);
2. სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარე – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 125 ლარი).

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის – 21-დან 65 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

– უმაღლესი არქიტექტორული განათლება (არქიტექტურის ან ქალაქმშენებლობის სპეციალობით);
– სპეციალობით პრაქტიკული საქმიანობის არა ნაკლებ ხუთი წლის გამოცდილება;
– სასურველია პერსონალის მართვისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;
– კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა;
– სასურველია რომელიმე დასავლეთევროპული ენის ცოდნა.

კონკურსს ატარებს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემების საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს კადრების განყოფილებაში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები (საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: 380113 თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №16, მე-3 სართული, ტელ: 37-17-15. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს კადრების განყოფილება.

**საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის
სახელმწიფო სამსახურის ბიურო.**

ტელეკომპანია „იმედი“ გთავაზობთ

სატელევიზიო თოქ-შოუ „არჩევანი – თქვენ“

„თავისუფლება არჩევანის შესაძლებლობებით განისაზღვრება. ადამიანის ცხოვრებაც განუწყვეტელი არჩევანის გზით და ფორმით მდინარებს. არჩევანს ახლავს განსჯა. განსჯას კი პასუხისმგებლობა. ეს ყოველივე ნების გამოვლინებაცაა“.

ჯანრი კაშია.

არჩევანის საშუალება ყოველთვის გვაქვს, თუმცა კრიტიკულ სიტუაციებში ადვილი არჩევანი არ არსებობს, – ასეთია ყოველკვირეული თოქშოუს **„არჩევანი – თქვენ“** დედააზრი, ეს არის პირველი თოქ შოუ საქართველოში, რომელიც ზნეობრივ საკითხებს ეხება. ავტორი და მასპინძელია – ფილოსოფოსი, მწერალი და ჟურნალისტი **ჯანრი კაშია,** რომელიც სტუდიაში მოწვეულ აუდიტორიას სთავაზობს ცხოვრებისეულ მძაფრი ფსიქოლოგიური და ზნეობრივი კოლიზიის შემცველ კინოთემას, რომელიც გმირს აუცილებელი არჩევანის წინაშე აყენებს. კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი დილემა დღევანდელობის ყველაზე მტკივნეულ სოციალურ და კულტურულ პრობლემებს ეხმიანება. სწორედ ეს თემატური კოლიზია ხდება ის საბაბი, რომელიც საინტერესო მსჯელობას, ცხარე კამათსა და დაძაბულ დისკუსიას იწვევს სტუდიაში, ტელემაყურებელს კი ზნეობრივ, ყოფით და ეთიკურ პრობლემებზე ფიქრისთვის განაწყობს.



**ავტორი და მასპინძელი – ჯანრი კაშია.
პროგრამის ხელმძღვანელი –
ქეთევან კაპანაძე.
რედაქტორი – თამარ ებრალიძე.**

საქმე №2/166

განჩინება

10 ოქტომბერი 2003 წ. ქ. თბილისი

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ი. ბერიშვილმა განვიხილე ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის განცხადება სს „საქაბრეშუმის“ რეაბილიტაციის პროცესისა და გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ვიხელმძღვანელე რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მე-4, მე-8, მე-11, მე-12 მუხლებით, 25 (7) მუხლის, მე-3 და მე-4 პუნქტებით, 29 (1) მუხლის მე-4 პუნქტით და 31-ე მუხლით, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით

დავადგინე:

1. შეწყდეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 27 ივნისის განჩინებით დამტკიცებული სს „საქაბრეშუმის“ რეაბილიტაცია.
2. არ დაკმაყოფილდეს ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნა „საქაბრეშუმის“ გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.
3. გაიხსნას სს „საქაბრეშუმის“ გაკოტრების საქმის წარმოება:

ა) სს „საქაბრეშუმს“ აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვა.

ბ) სს „საქაბრეშუმის“ ქონების მართვისათვის დაინიშნოს გაკოტრების მმართველი მიხეილ ჯიქია, დაბადებული 1977 წელს პროფესიით იურისტი, საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის „ვორიდ ვიზიონის“ საქართველოს წარმომადგენლობის მიკროსაწარმოთა განვითარების პროგრამის ქუთაისის ოფისის იურისტი, მცხ. ქ. წყალტუბო, ნინოშვილის ქ. №32-ში.

გ) სს „საქაბრეშუმის“ ყველა კრედიტორმა 2003 წლის 1 დეკემბრამდე წარმოუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები, შესაბამის ვალუტაში, თანხის და ვალის საფუძვლის ჩვენებით. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

დ) ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელსაც სს „საქაბრეშუმის“ ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, დაევალოს 2003 წლის 1 დეკემბრამდე განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ.

ე) პირს, რომელიც ფლობს სს „საქაბრეშუმის“ ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე ეკრძალება ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება და ევალება შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ.

ვ) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის დღედ და საათად განისაზღვროს 2003 წლის 10 ოქტომბრის 14 საათი.

ზ) კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებლად კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნეს 2003 წლის 9 დეკემბერს 12 საათზე, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში, რაც ეცნობოს კრედიტორებს.

თ) გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც სს „საქაბრეშუმს“ აქვს საქმიანი ურთიერთობა.

ი) განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს ცენტრალურ პრესაში.

4. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში, მხარეებისათვის განჩინების გადაცემიდან 12 დღის ვადაში. კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს შემდგომ საპროცესო მოქმედებას.

მოსამართლე ი. ბერიშვილი.

საქართველოს კომპოზიტორთა საერთო-ეროვნული შემოქმედებითი კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით 2003 წლის 27 დეკემბერს 11 საათზე მოწვეულია საქართველოს კომპოზიტორთა საერთო-ეროვნული შემოქმედებითი კავშირის წევრთა ყრილობა.

საქართველოს კომპოზიტორთა საერთო-ეროვნული შემოქმედებითი კავშირის გამგეობა.

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს დავალებით

აცხადებს ტენდერს

ჩინეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში შემოსატანი ხის გადამამუშავებელი დანადგარების კომპლექტის მომხმარებლის გამოსავლენად. კომპლექტი შედგება შემდეგი დანადგარებისგან:

1. ალუმინის ღუმელი;
2. ხის ნარჩენების საწვავი ბოილერი;
3. ლენტური ხერხი;
4. ზედაპირის გამასწორებელი/გამშალაშინებელი;
5. ცალმხრივი სისქის მიმცემი;
6. მრავალდანიანი ცირკულარული ხერხი;
7. ჯვარედინი ჭრის ხერხი;
8. ფორმის მიმცემი დანადგარი;
9. კორძების მჭრელი ორმხრივი დანადგარი;
10. კომპიუტერული ავტომატური ბოლოების შემაერთებელი დანადგარი;
11. ჰიდრავლიკური შემადგენელი დანადგარი;

კომპლექტი მომხმარებლებს გადაეცემათ ლიზინგის ფორმით. სალიზინგო საზღაური (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 27-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრული ლიზინგის საგნის საბაზრო ფასის მინიმუმ 100 პროცენტი) გადახდილი უნდა იქნეს კომპლექტის გადაცემიდან შვიდი წლის განმავლობაში, საიდანაც პირველი სამი წელი თავისუფალია გადახდისაგან. ტენდერში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკუთრების კერძო ფორმით, რომელთაც გააჩნიათ ხის დამუშავების დარგში მუშაობის გამოცდილება.

ტენდერში მონაწილეობისთვის განაცხადის ფორმის და ტენდერის პირობების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს მისამართზე: ა. ყაზბეგის 42. ტელეფონები: 94-21-17; 39-30-32. შევსებული განაცხადების მიღება იწარმოებს 2003 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

განცხადება

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციების: მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს, „საქტექზედამხედველობის“ ინსპექციის მთავარი სამმართველოს და სასოფლო-სამეურნეო მანქანათა საგამოცდო სადგურის ერთ აგროსაინჟინრო სამსახურად გაერთიანებასთან დაკავშირებით, ვთხოვთ დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს მ/წლის 15 დეკემბრამდე მოახდინონ ანგარიშების ურთიერთშედარება და დებიტორ-კრედიტორული დავალიანების საბოლოო ანგარიშსწორება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. № 41
ტელ: 99-89-85; 93-16-32

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 308. შაბათი, 15 ნოემბერი, 2003 წელი

სიტყვა პოეტის ახალ წიგნზე

მართლაც ბევრი აქვს სათქმელი

არ ვიცი, პირველად ვინ ბრძანა, წიგნი შვილივით არისო, მაგრამ ვინც თქვა, მართლა კარგად თქვა... წიგნსაც, როგორც პირმშოს, საგულდაგულოდ ქმნის და აგვირისტებს ადამიანი. სწორედ მასში „დებს" იმ საუკეთესოს, რაც ბუნებას მისთვის მოუმადლებია. მერე სულში ჩახედავს და იჭვნეულად იკითხავს: კი შევძელი იმისი შექმნა, რაც მეწადა და ხელმეწიფებოდა? პასუხიც იმის შესაბამისია, როგორი გზითაც ვლის ამ ტრიალ ქვეყანაზე ხან ტანჯვა-წამებით, ხანაც მგზნებარება-აღმაფრენითა თუ ტკივილით ნასაზრდოები ნაყოფი სულისა და სხეულისა...

ეს იყო... თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, როდის იყო. მთავარია, რომ იყო! იდგა პოეზიის სურნელით სავსე დარბაზში არც ჭაბუკი და არც ხანმორეული შემოქმედი და ერთიმეორის მიყოლებით კითხულობდა ლექსებს. შუბლზე ოფლმა გამოჟონა, კიდეც დაიღალა, მაგრამ მაინც ჯიუტად უელავდა თვალები, რადგან ესტრადაზე შესულ მსმენელს მისი გაშვება არა და არ სურდა.

ეს უკვე პასუხი იყო იჭვნეულ კითხვაზე: კი შევძელი იმის შექმნა, რაც მეწადა და ხელმეწიფებოდა? ხოლო პასუხის მომლოდინე – პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.

ახლა მე ხელთა მაქვს, მართლაც, თვალმიმტაცად გამოცემული მისი ერთტომეული „ცის სარკმელები". „თვალმა წყალი დალია" – ვერც კი გავიგე, ისე გავედი ბოლოში და შემომანათა კიდეც სათაურმა „წერილი დედას". მაგრამ წერილიც არის და წერილიც: **„...და ვიკვებები მე შენი ლექსით, ისე, როგორც შენ იკვებებოდი ჯერ ჩემი სისხლით, შემდეგ კი სიტყვით. დედა გენაცვალოს, შვილო, მომშივდება და მომწყურდება ხოლმე შენი ლექსები და მეც ვკითხულობ ხან ჩუმად, ხანაც ხმამაღლა, ჩემს სიხარულზე მეევე მაკრძოლებს, ბუსუსს მაყრის... და მიხარია, რომ ჩემი შვილი ხარ".**

ღმერთი, რჯული, ასეთი ალსარება ჯერ არავისგან მომისმენია! პოეტის დედაც რომ პოეტი ყოფილა! დღეს ის ქალბატონი ცოცხალი აღარ არის. მშობელმა, აღმზრდელმა და პედაგოგმა, მართლაც, ყველაფერი გაიღო შვილის სულიერი და ზნეობრივი სრულყოფისათვის. და თუ ჩემი ერთი მეგობრის სტრიქონებს მოვიშველიებ, შეიძლება ვაჟა ოთარაშვილმაც თამამად გაიმეოროს: **„ვიღაცა ეტყვის დედაზეშს, პოეტის დედას გავხარო".**

...ვსხედვართ რედაქციის ხმაურიან ოთახში და წყნარად ვსაუბრობთ. გრძელი და საინტერესო გზა აქვს ვაჟა ოთარაშვილს, გზა, რომელიც მაინც „მარილივით აილოკება", რადგან **„ზოგჯერ მანეთი თუმანია, რკინა-თითბერი, დრო კი ყველაფრის მკურნალია, გარდა სიბერის".** ჭეშმარიტებაა, მაგრამ აკი პოეტმა ისიც ბრძანა, „სიჭაბუკე და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი". მთავარია, ლექსებს არ მოერიოს სიბერე!

მწერლის პირველი სიტყვა ისევ დედის ხატებას დასტრიალებს, იმას ეფერება:

– დედაჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. ყველაზე მკაცრად მე მექცეოდა. მაშინ ამის მიზეზს ვერა ვხვდებოდი. სწორედ იმ სიმკაცრემ ჩამახედა ქართული სულის სიღრმეებში, მაზიარა ქართული სიტყვის ჯადოს. ის იყო ჩემი პირველი ჭაშნაგირი. ოცდასამი წლისა ვიყავი, კასპის რაიონულ გაზეთ „განთიადში" ლექსები რომ გამოვაქვეყნე. მერე იყო „სოფლის ცხოვრება", ჟურნალ „ცისკრის" დამატება „ნობათი". 1986 წელს დაისტამბა კრებული „ხილვადობა". ამჟამად შვიდი პოეტური წიგნის ავტორი ვარ.

– და გაქვს რამდენიმე ლიტერატურული პრემია...

– დიახ. ჯერ იყო და ალმა-ათის პოეზიის ფესტივალის ლაურეატობა მომანიჭეს, მერე მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია „გულანისა". 2000 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიის ლაურეატიც გავხდი.

– ცოტა უცნაურიც კია, ლექსის ტრფიალმა ტექნიკური უნივერსიტეტი რომ დაამთავრე.

– განა აუცილებელია, რომ პოეტი მაინცდამაინც ფილოლოგი იყოს? ისე, ყველაფერი განგების ნებით ხდება.

– მოდი, ისევ შენს ბოლო კრებულზე ვისაუბროთ. ასეთი წიგნით ნებისმიერი შემოქმედი იამაყებდა. ძალზე ამაღელვებელია, რომ სულის ნაწილს – „ცის სარკმელებს" შვილებს – ნინოს, მაიას, გიორგისა და ლექსოს უძღვნი. ხუთასგვერდიანი, თანაც ასეთ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული წიგნი, ალბათ, სოლიდური თანხაც დაჯდა...

– რომ არა მაგათი GSM, მისი პრეზიდენტი **გია ჯოხთაბერიძე,** ასეთი წიგნის გამოცემაზე ვერც ვიოცნებებდი...

– საიდან იცნობთ გია ჯოხთაბერიძეს? დღეს მასზე რაღას არ ჰყვებიან!

– ჩვენ ერთად ვსწავლობდით მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე. თანაჯგუფელები ვართ.

– მეგობრობდით?

– ვმეგობრობდით. ეს იყო უაღრესად გულისხმიერი, ამავე დროს ფიცხი და ამაყი, მეგობრობაში – ერთგული და გამტანი. სიტყვის გატეხა არ სჩვეოდა. ერთხელ ყინვაში მოვყევი და თმის ცვენა დამეწყო. ყველაზე ეფექტური, გერმანული წამალი „კარმაზინი", საკმაოდ ძვირი ღირდა. სიტყვის უთქმელად წავიდა გია და მომიტანა...

– ოჯახშიც მიდიოდი ხოლმე?

– რა თქმა უნდა. ყოველთვის თბილად გვხვდებოდნენ მისი დიდებული მშობლები ქალბატონი ნელი და ბატონი გობრონი. საკუთარი შვილებივით გვეფერებოდნენ. ის სიკეთე, რაც გიასგან მოდის, სწორედ რომ მშობლების მადლია.

– ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა თქვენი გულითადი დამოკიდებულება?

– დიახ. გიამ მოსკოვში დაამთავრა ასპირანტურა, მე – თბილისში. იქვე დაიცვა დისერტაცია. მისი ხელმძღვანელი საბჭოთა კიბერნეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ლევ კუზინი იყო. გია ერთხანს მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს, მერე გეპეიში გადმოვიდა და ჩვენი გზები ისევ შეერთდა. ახალგაზრდები ვიყავით და ლექციებს ფილიალებშიც ვკითხულობდით.

– საოცარია, რომ ბიზნესშიც ასე წარმატებულია.

– სხვათა შორის, ბიზნესისადმი მიდრეკილება მაშინვე ჰქონდა. საქართველოში მან პირველმა შექმნა პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტები და მთელს კავშირში ყიდდა. ლილოში დააარსა ავეჯის მინიქარხანა და ბევრი მეგობარიც დაასაქმა.

– და ქველმოქმედებასაც ეწეოდა?

– ჩემი წიგნი „ხეკორძულელის

აღსარება" სწორედ მისი ხელშეწყობით გამოვიდა. საგულისხმო ის არის, რომ გიამ ქველმოქმედების უმთავრესი აქცენტი ქართულ მწერლობაზე გადაიტანა. ჩვენი თანამშრომლობაც ამ კუთხით წარიმართა. **იქნებ საზოგადოების დიდმა ნაწილმა არც იცის, რომ სწორედ გია ჯოხთაბერიძის სპონსორობით გამოვიდა ჭაბუა ამირეჯიბის შვიდტომეული, გურამ ასათიანის ოთხტომეული, ნაზი თარგამაძის საბავშვო ლექსების ერთტომეული, რეზო ამაშუკელის „ვივა დელა როსა", ძმები კალანდიების სამტომეული, ჯანსუღ ჩარკვიანის ოთხტომეული, წიგნი დავით ყიფიანზე „სასწაულის წყურვილი", უნიკალური მონოგრაფია ტრაგიკულად დაღუპულ შესანიშნავ მხატვარ დიმიტრი შევარდნაძეზე, გოჩა ჩოგოვაძის „ინფორნაცია", უნიკალური ანთოლოგია „ბაგრატიონები", ალეკო ცინცაძისა და გოგი ბადათურიას „არჩევანი"... მალე მკითხველი მიიღებს გალაკტიონის სრული შემოქმედებისა და მთლიანი არქივის ოცტომეულს, მურმან ლებანიძის ექვსტომეულს, გურამ დოჩანაშვილის ოთხტომეულს, ოტია პაჭკორიას ორტომეულს...** ერთი სიტყვით, ის არის საოცარი სულის კაცი. დღეს საქართველოში ისეთი მეცენატი და ქველმოქმედი, როგორიც გია ჯოხთაბერიძე და „ნეოსტუდიაა" (ხელმძღვანელი **მანანა შევარდნაძე**), ბევრი არ მეგულება. სხვათა შორის, წიგნები, რომლებიც მათი ხელშეწყობით გამოდის, საჩუქრად რიგდება.

– შენს წიგნს ალბათ, ამიტომაც წაუმძღვარე, **„ჩემო გია, ღმერთი იყოს შენი შვილებისა და ოჯახის მფარველი და შემწე! შენ ფასდაუდებელი ამაგი დასდე ქართულ მწერლობას ქველმოქმედებითა და უანგარობით. დასანანია, რომ ტატო ბარათაშვილს ან ვაჟა ფშაველას არ ჰყავდათ შენებრი უშურველი თანამდგომი".**

– სწორედ რომ ამიტომაც. სხვათა შორის, ჯოხთაბერიძეებს ჰყოლიათ დიდი წინაპარი გიორგი ჯოხთაბერიძე, რომელსაც მოუხატავს გელათის წმინდა ელიას ბაზილიკა, ხოლო „ველიკი ნოვგოროდის" სოფიის ტაძარი, ჯერ კიდევ XI საუკუნეში მოუხატავს იმავე გიორგის მოსახელეს – გიორგი ჯოხთაბერიძეს! გიას პაპის ძმა ცხუმ-აფხაზეთის არქიმანდრიტი იყო. ასეთი წინაპრების შთამომავალიც საკადრისად რომ ირჯება, დიახაც, საამაყო და მისაბაძია. გახსოვს, ალბათ, სწორედ გიამ დააფინანსა ფეხბურთში 2000 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტელეტრანსლაცია. გია ეხმარება საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნულ კავშირს და მის ორგანოს – „ლიტერატურულ საქართველოს". ხომ ამდენი სიკეთის მთესველია, მაინც არ უყვარს თავისი თავის რეკლამა. „ბაგრატიონების" წიგნის წარდგენაზე ბევრმა არც იცოდა, რომ გია ჯოხთაბერიძე იქ იყო.

– ახლა ორიოდე სიტყვა იმათზეც მითხარი, ვინც თქვენი ასე მშვენიერი წიგნი გამოსცა.

– ოო, ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა „ბაკმი" ნამდვილად იმსახურებს მადლობას და შექებას, მაგრამ ყველაზე ფასეული, იცი, რა არის? **ბონდო მაცაბერიძემ და რუსუდან მოსიძემ ქართული სული ააღორძინეს. „ბაკმი", უპირველესად, ქართულ წიგნებს ბეჭდავს.** ნახეთ, რა დონისაა ქართული ხალხური ზღაპრების „კიდობანი", „წმინდანთა ცხოვრება", „ლიტერატურული ზღაპრები", იაკობ გოგებაშვილის, ლევან სანიკიძის, ოტია იოსელიანის და სხვა მწერალთა წიგნები! თითოეულ მათგანს გვირგვინს ადგამს მხატვარ **ალექსანდრე ცხელაშვილის** დიდებული ყალამი.

– შენი ერთტომეული გოგი წერეთელმა გააფორმა...

– და მადლობელიც ვარ. ეს კაცი საოცრებებს ახდენს, თავის შემოქმედებაში სულსა და გულს დებს.

– ვაჟა, შენ 1992-95 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი იყავი. ახლაც თუ ისურვებდი დეპუტატობას?

– ღმერთმა დამიფაროს! როცა მაგათ ვუყურებ, სულ მგონია, რომ ქართველი ხალხი თანდათან წყდება ეროვნულ ფესვებს, შორდება უფლის ნებას. პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ერის დიდი ენერგია შეიწირა. სწორედ ამან მათქმევინა მწარე სიტყვები, **„საქართველოს ქართველები შეესივნენ, ვით ალავერდს ურჯულოთა ქარავანი".**

– მაგრამ, ეს, ალბათ, დროებითი მოვლენაა, არა?

– ალბათ. ყოველ შემთხვევაში, მომავლის იმედი რომ არ მქონდეს, ვერც ამ „ერთტომეულს" გამოვცემდი. ის მთელი ჩემი ცხოვრების ანარეკლია. დიდი მადლობა რედაქტორს, პოეტსა და ლიტერატორს თემურ შავლაძეს, რომელიც ბევრ რამეში მომეხმარა.

როგორღაც ბოლო ლექსი მომხვდა თვალში – დღევანდელი ყოფის ნაღდი სურათი: „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს, სამოთხეს – უფლის ნათელი... ღმერთო, მაცოცხლე ხვალამდე, კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი..." გაძლევ პირობას, რომ ღმერთი ხვალამდე კი არა, დიდხანს გაცოცხლებს, რადგან „მწიფობის თვეში შედიხარ" და მართლაც „ბევრი გაქვს სათქმელი".

ელგუჯა ლებანიძე.

გთავაზობთ ვაჟა ოთარაშვილის ლექსებს

* * *

თებერვალს თეთრი ცხენები უყვარს
და ენძელების დაქალწულება...
მუხლზე ვუსხედით ნამეხარ მუხას,
იქ შევისვენეთ დაქანცულებმა...
ჩამოგვეძინა... თოვდა და თოვდა
და გამოუცნობს მღეროდა ფიფქი...
ოცნებას თოვლის მანდილი ჰქონდა
და ფიქრი ჰქროდა იმ მანდილს იქით...
ახლა კი... ღამით შეცივნულ ბუხარს,
ლოდინით გული დაეწურება...
თებერვალს თეთრი ცხენები უყვარს
და ენძელების დაქალწულება...

ტრანსპლანტაცია

...გადაუნერგეს ღვიძლიც, თირკმელაც,
გადაუნერგეს ხელის მტევანიც
და ჩააკერეს კუჭი იმხელა,
რომ ჩაეტია ჩახატევარი...
გადაუნერგეს კანი, ნეკნები,
ელენთა ღორის, გული შიმპანზის,
გადაუნერგეს ზღარბის ეკლები,
მაგრამ ვერასგზით — ვარდი შირაზის...
გადაუნერგეს კუნთიც, მარდვებიც,
გადაუნერგეს მენჯი და ტვინი,
მაგრამ ფერები — ცის შენადუღების,
რატომღაც ისევ იწვევდა ტკივილს...
გამოუცვალეს სისხლიც და ძლაზმაც,
კოდავდნენ ახლად ამოერილ ნერგებს...
....
კვლავ იზეიმა ღვთიურმა აზრმა,
რადგან სული ვერ გადაუნერგეს...

* * *

„სოფლისა ზღვაა აღმრულ არს
ღელვითა ცოდვისაითა".
გრიგოლ ხანძთელი.

საკვირველია ჯვარი და ჯვარცმა,
ცად ამაღლების იდუმალება...
აქ, მველ ხანძთაში
აღდგომის განცდა
ზე აიტაცეს რეკვით ზარებმა...
ჰოი, ხატებო, ცის სარკმელებო,
გაკდენთილებო საკმევლის სუნით...
მეუდაბნოის ხმელი ხელები
და განგმირული შუბით აგსული...
რა შევდრება სიხარულს შობის,
მაგრამ აღდგომის სულ სხვაა განცდა,
მგონია, ცაში მიფრინავს თოგვი,
რომ წარიტაცოს ცოდვანი კაცთა...

ხევსურეთში, მუცოს გზაზე...

ღრუბლის ხევისბერები
დგანან ზეცის დარდებად...
ქარვისფერო ფერიავ,
მალე გაავდარდება...
სიზმარშიაც მინდოდა,
დედასავით გენადვლე...
ჩაიჩოქა მინდორში
ქარმა — მველმა მეარღნემ...
დავიხარე: ბალახის
გადატეხილ ღეროდან
სისხლის სნქეფდა, არაგვი
თუ ხევსური მღეროდა...
საწვიმარი ღრუბლების
ჩაიარეს ჩრდილებმა
და ცა — მონაქუფრები,
მუცოს მიმაცილებდა...

გვწერენ

არჩევანმა გამიმართლა

გიორგი ჩიჩუა 32 წლის კაცია და უკვე მოასწრო კეთილი საქმეებით ადამიანებისათვის თავის დამახსოვრება. მას თბილისში დაუმთავრებია სამედიცინო უნივერსიტეტი, დაუცავს საკანდიდატო დისერტაცია, 1997-99, წლებში სტაჟირებაზე გერმანიაში ყოფილა და ქალაქ მიუნსტერის თვალის სნეულებათა კლინიკაში დოქტორანტურაც გაუვლია. ამჟამად იგი თბილისის პირველი საავადმყოფოს ბაზაზე არსებულ თვალის სნეულებათა კლინიკას ხელმძღვანელობს. ამ ახალგაზრდა კაცს დიდი მომავალი აქვს.

მე იგი გასაჭირმა გამაცნო – მხედველობა კატასტროფულად გამიუარესდა. მივედი, გამსინჯეს. ოპერაცია ისე გამიკეთეს, არაფერი მიგრძვნია. თავს დამტრიალებდნენ მკურნალი ექიმები სელინა ამირხანოვა და მაია ნოზაძე. ისიც უნდა ვთქვა, რომ გიორგი ჩიჩუას გულისხმიერებისა და ყოველდღიური მზრუნველობის წყალობით კლინიკაში მისული ადამიანები გასაოცარ სითბოში ექცევიან, რისთვისაც სამადლობელ სიტყვებსაც არ იშურებენ. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ და ეს ჩემი სიხარული თქვენი გაზეთის მკითხველებსაც უნდა გავუზიარო.

შოთა ლებანიძე,
მშენებელი ინჟინერი.

სურათზე: გიორგი ჩიჩუა.

შესარიგებელი

ჩვენი სურვილი და მოწოდება

ჩვენს სამშობლოში ძნელბედობის ჟამი დადგა – ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირებამ უაღრესად საშიში და ფეთქებადი ხასიათი მიიღო. ფაქტობრივად, ქვეყანა კატასტროფის წინაშეა.

ჩვენ ვთხოვთ და მოვუწოდებთ დაპირისპირებულ მხარეებს – კონფლიქტი მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკებების, კომპრომისის გზით მოგვარდეს. საქართველო ვერ გადაიტანს კიდევ ერთ სამოქალაქო დაპირისპირებას, თანამოძმეთა სისხლისღვრას.

ბევრი რამ არის შესაცვლელი ქვეყანაში, მრავალი გაუგებრობა და ქაოსი იყო 2 ნოემბრის არჩევნებში, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს უფლება, გავცდეთ კონსტიტუციის ფარგლებს.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სამოქალაქო დაპირისპირების დროსაც ახლადდაფუძნებულმა სეოკ-მა, მშვიდობისათვის ბრძოლაში ოლიმპიზმის ისტორიული როლის გათვალისწინებით, თანხმობისკენ მოუწოდა დაპირისპირებულ მხარეებს. დღესაც იგივეს ვაკეთებთ და გვინდა ვირწმუნოთ, რომ ჩვენს მოწოდებას გაგებით მოეკიდებიან.

2004 წელი გაერომ მშვიდობისა და ოლიმპიზმის წლად გამოაცხადა, ნუ შევხვდებით ახალ, ოლიმპიურ წელს დაპირისპირებით, შეურიგებლობით.

ქართველ სპორტსმენებს დიდი გამოცდა ელით გაისად ათენში – საქართველო ათ წელზე მეტია ოლიმპიურ ოქროს ელოდება. ჩვენს ქვეყანაში სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნებით შევუწყოთ მათ ხელი ამ მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი და ეროვნული მისიის შესრულებაში.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

კალათბურთი

კალათბურთელ ვაჟთა XIII ეროვნული ჩემპიონატის გუშინდელი პროგრამის ცენტრალური მატჩი თსუ – „ბასკო" ბათუმელთა ცენტრის ბერძენიშვილის ზუსტი ტყორცნით დაიწყო – 2:0.

სნაიპერობას რა სჯობს

ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ეს სტუმართა პირველი და უკანასკნელი დაწინაურება იქნებოდა, მაგრამ საბოლოოდ სწორედ ასე მოხდა.

სტუდენტთა სნაიპერებმა თორთლაძემ და მაისურაძემ პირველივე მეოთხედში დაბომბეს მეტოქის კალათი (შესაბამისად 3 და 2 ჩაგდებული სამქულიანი) და პარტნიორებს სოლიდური უპირატესობა შეუქმნეს – 22:9. მართალია, მასპინძელთა გიგანტს შენგელიას დროის ამ მონაკვეთში ქულაც კი არ მოუპოვებია (საბოლოოდ მხოლოდ 7 ქულა იკმარა), მაგრამ სამაგიეროდ საკუთარ ფარქვეშ იბრძოდა სამაგალითოდ, რასაც შეხვედრის ბოლოსთვის დაგროვებული 16 (!) მოხსნაც ადასტურებს.

მეორე პერიოდი ნაცვლიშვილის გააქტიურებით აღინიშნა, რამაც ასახვა ტაბლოზეც ჰპოვა – თბილისელთა უპირატესობამ რამდენჯერმე საგანგაშოს მიაღწია – 32:13 და 36:20. სწორედ ამის შემდეგ გაიბრძოლეს ზღვისპირელებმა უკანასკნელად და ირაკლი ბერიშვილის, კვიმსაძის, როდმუნგასა და იმნაძის ძალისხმევით დიდი შესვენების წინ სხვაობა საკმაოდ შეამცირეს – 34:40.

ეს იყო და ეს – მეორე ნახევარში საერთო სურათი აღარ შეცვლილა და თსუ-მ უპრობლემოდ მიიყვანა საქმე დამაჯერებელ გამარჯვებამდე – 84:61.

ყველაზე შედეგიანები: თორთლაძე, მაისურაძე – 23-23, ნაცვლიშვილი – 11 ქულა (თსუ); იმნაძე – 16, ირაკლი ბერიშვილი – 11, ბერძენიშვილი, კვიმსაძე – 10-10 ქულა („ბასკო").

ანალოგიური სცენარით ვითარდებოდა მოვლენები რუსთაველთა და ქუთაისელთა დუელშიც – ქვემოქართლელებმა იოლად გაიმდიდრეს მარაგი – 99:62.

18 ნოემბერს ითამაშებენ „მაქაბი" – „დინამო" (15 საათზე), ქუთაისი – სსუ (17 საათზე, ვერის ბაღში) და „ბასკო" – რუსთავი (17 საათზე, ბათუმში).

გია პლატონიშვილი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

მინიფეხბურთი

რუსებს აქაც ვერ ავცდით

გუშინწინ გაიმართა მინიფეხბურთში 2005 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა. საქართველოს ფეხბურთელები მეხუთე ჯგუფში იასპარეზებენ რუსებთან, სერბებთან და აზერბაიჯანელებთან ერთად.

გაუწყებთ კენჭისყრის შედეგებს.

საკვალიფიკაციო ტურნირი: A ჯგუფი: **ბულგარეთი, რუმინეთი, სომხეთი, ყაზახეთი.** B ჯგუფი: **ალბანეთი, კვიპროსი, ინგლისი.**

შესარჩევი ეტაპი:

I ჯგუფი. **პოლანდია, ბელგია, ისრაელი, საფრანგეთი.**

II ჯგუფი. **უკრაინა, ბელარუსი, სლოვაკეთი, A ჯგუფის გამარჯვებული.**

III ჯგუფი: **პორტუგალია, ანდორა, მოლდოვა, B ჯგუფის გამარჯვებული.**

IV ჯგუფი: **ესპანეთი, სლოვენია, ფინეთი, ლიტვა.**

V ჯგუფი: **რუსეთი, სერბეთი, აზერბაიჯანი, საქართველო.**

VI. ჯგუფი: **ხორვატეთი, უნგრეთი, ლატვია, საბერძნეთი.**

VII. ჯგუფი: **იტალია, პოლონეთი, მაკედონია, ბოსნია.**

ფინალური ეტაპი გაიმართება ჩეხეთში, სადაც რვა გუნდი იასპარეზებს. ჯგუფებში გამარჯვებულებს მასპინძლები დაემატებიან. იმედია, ჩვენს გუნდს 2005 წელს ფინალურ ეტაპზე ვიხილავთ.

სამბო

მალე „ბრინჯაოც" სანატრელი გახდება

უკვე გაუწყეთ, რომ სანკტ-პეტერბურგში დამთავრებულ სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველო მოჭიდავეებმა მხოლოდ ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

მესამე ადგილები დაიკავეს გელა ბარათაშვილმა (57 კგ) და ზვიად ჩინჩალაძემ (მძიმე წონა). საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მეცხრე ადგილზე გავიდნენ (პირველი ადგილი რუსებმა დაიკავეს, მეორე-მესამე ადგილები ბულგარელებმა და ბელორუსებმა გაინაწილეს), არადა, ყოველი შეჯიბრებიდან საქართველოს სამბისტები მედლებით დახუნძლული ბრუნდებოდნენ.

წარუმატებლობის მიზეზების შესახებ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე დაწვრილებით ილაპარაკა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ: მართალია, ჩვენს გუნდს წლეულს მოსამზადებლად და შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად 60 ათასი ლარი გამოეყო, მაგრამ ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა. მხოლოდ ერთხელ მოეწყო სრულფასოვანი საწვრთნელი შეკრება. გუნდი დაკომპლექტებული იყო უმთავრესად ასაკოვანი სპორტსმენებით, რაც ახალგაზრდა სამბისტთა უცხოეთში მიგრაციამ გამოიწვია. ყოველივე კი იმის შედეგია, რომ საქართველოში სამბოს, როგორც არაოლიმპიურ სახეობას, ალმაცერად უყურებენ. თუ ასე გაგრძელდა, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე „ბრინჯაოც" სანატრელი გაგვიხდება – დასძინა მან.

ცინცხალი ამბები

მსოფლიო ექსჩემპიონმა ჭადრაკში ანატოლი კარპოვმა, მასთან დაქვემდებარებულ ფირმასთან – „კარპოვის ჭადრაკი" – ერთად გამოუშვა ჭადრაკის ახალი კომპლექტი, რომელიც მართლაც რომ ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. ფირმაში გაერთიანებულნი არიან ხეზე და ძვალზე მკვეთელი პროფესიონალები, რომლებიც მართლაც საოცარ ფიგურებს ქმნიან. ჭადრაკის ერთ-ერთი კომპლექტი საჩუქრად გადაეცემა საფრანგეთის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს. ესკიზების სტადიაშია ახალი კომპლექტი, რომლის სავარაუდო ფასი ერთი მილიონი დოლარი იქნება. ჭადრაკის ამ კომპლექტს გამომვებისთანავე გინესის რეკორდების წიგნში შეიტანენ.

დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II-ის შვილიშვილი, პრინცესა ანასა და კაპიტან მარკ ფილიპსის ასული ზარა ფილიპსი ქვეყნის საცხენოსნო სამჭიდის ნაკრების წევრი გახდა. 22 წლის ზარამ აქტიურად დაიწყო მზადება ათენის ოლიმპიადის თამაშებში მონაწილეობის მისაღებად.

რეგიონი

„შირაქის" შემოდგომა

დედოფლისწყაროს რაიონის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი დიდი წარმატებით ასპარეზობს ვიტალი დარასელიას თასის გათამაშების რეგიონულ ტურნირში – მწვრთნელ ზურაბ ჩალაბაშვილის შეგირდებმა უკვე ზედიზედ ოთხი მეტოქე დაამარცხეს ბურთების საერთო შეფარდებით 14:6 და უზომო სიხარულს ანიჭებენ გულშემატკივრებს.

გაუწყებთ შირაქელთა მონაწილეობით უკვე გამართული შეხვედრების შედეგებს:

„შირაქი" – „ერთობა" (ახმეტა) 3:2.

„ჰერეთი" (ლაგოდეხი) – „შირაქი" 1:2.

„კახეთი" (თელავი) – „შირაქი" 0:4

„შირაქი" – „ველისციხე" (გურჯაანი) 5:3.

ნანა ქიქინაძე.
„სრ" საკ. კორ.

ყოველი მხრიდან

დღეს ბევრი რამ წყდება



დღეს მოსკოვში, ჩერქიზოვოზე, ანუ „ლოკომოტივის" სტადიონზე 38 წლის პორტუგალიელი მსაჯი ლუსილუიუ კარდოზუ კორტეშ ბატიშტა მინდორზე გამოუხმობს რუსეთისა და უელსის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს. ამ შეხვედრით, ხოლო შემდეგ უელსში უნდა გაირკვეს, თუ ვინ არის ღირსი მონაწილეობა მიიღოს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში, რომელიც სწორედ პორტუგალიაში უნდა გაიმართოს.

ბუნებრივია, ორივე გუნდი მთელი ძალებით ითამაშებს, რათა დიდი ხნის ოცნება აისრულოს და „პორტუგალიის საგზური" მოიპოვოს. უელსელები დიდ იმედებს ამყარებენ თავიანთ ნახევარმცველ რაივან გიგზე, რაც რუსეთელებსაც ძალზე აფრთხობთ (შემთხვევითი როდია, რომ რუსული სპორტული პრესა ყურადღებას ძირითადად სწორედ მასზე ამახვილებდა).

რასაკვირველია, რუსეთის ნაკრებიც სრული საბრძოლო შემადგენლობით გამოვა. რუსეთელი ფეხბურთელებისთვის პატრიოტიზმისა და პრესტიჟის გარდა, ალბათ, ძალზე წამახალისებელი იქნება მილიონ 200 ათასი დოლარიც, რასაც ნაკრებს ჰპირდებიან ევროპული ჩემპიონატის შემდეგ ეტაპზე გასვლისათვის. ახლა სიტყვა ნაკრების თითოეულ მოთამაშესა და მათ დამრიგებელზე – გიორგი იარცევზეა (ალბათ, გულშემატკივართა მხარდაჭერასაც ვერ გამოვრიცხავთ).

სურათზე: აი, ისიც უცხოელთა „მთავარი" ფეხბურთელი რაივან გიგზი.

* * *

როგორც მოსკოვიდან იტყობინებიან, ვალერი გაზაევმა საბოლოოდ გადაწყვიტა დატოვოს ცსკა, რომლის მთავარ მწვრთნელად მან ორი წელი იმუშავა. ეს ჟურნალისტებს აცნობა ცსკა-ს პრეზიდენტმა ევგენი გინერმა.

– გაზაევმა ცოტა დასვენება გადაწყვიტა, – განაცხადა გინერმა, – ჩვენ მადლობელნი ვართ, რომ მისი ხელმძღვანელობით გუნდმა შარშანაც და წლეულსაც საშინაო წარმატებას მიაღწია. ცსკა-ამ რუსეთის ისტორიაში პირველად მოიგო ეროვნული ჩემპიონატი.

თუ ვინ შეცვლის გაზაევს, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

ახალი კანონების მიღებას არ აპირებენ



როგორც საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კონსტანტინოს სიმიტისმა განაცხადა, ქვეყნის მთავრობა გამორიცხავს 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების დღეებისათვის დემონსტრაციებისა და მიტინგების აკრძალვის შესახებ ახალი საგანგებო კანონების მიღებას.

მთავრობის მეთაური დარწმუნებულია, რომ თამაშების დღეებში დედაქალაქში იქნება დღესასწაულის ატმოსფერო და არა პოლიციური სახელმწიფო.

თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ იოანა ანგელოპულოს-დასქალაკიმ განაცხადა, რომ ოლიმპიადის დღეებში შემოღებული იქნება საქალაქო სამსახურების მუშაობის სპეციალური რეჟიმი. ის ითვალისწინებს ქუჩების დასუფთავების და მაღაზიებისათვის კვების პროდუქტების მხოლოდ ღამის საათებში მიწოდებას, გზებზე ოლიმპიადელთა მანქანებისთვის საგანგებო სავალი ხაზის შემოღებას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის 24-საათიან მუშაობას, შეჯიბრებების ბილეთების პატრონების უფასო გადაყვანას და ა. შ.

ცხენი — ნარკომანი?

ორგზის ევროპის ჩემპიონს, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ცხენთა წვრთნაში, 45 წლის გერმანელ მხედარ ქალს ულლა ზალცბერგს ჩამოერთვა 2002-2003 წლების მსოფლიო თასი, რადგან წლეულს მარტში, გეტერბორგში მსოფლიო თასზე შეჯიბრებებისას მისი ცხენიდან, 15 წლის როსტიდან აღებულ დოპინგტესტში აღმოჩნდა ტესტოსტერონის ნაკვალევი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ.

შეგახსენებთ, რომ საცხენოსნო სპორტის წესები, დადებითი დოპინგ-სინჯის შემთხვევაში არ ითვალისწინებს რაიმე სასჯელს თავად მხედრისათვის. გერმანიის საცხენოსნო სპორტის სააპელაციო კომიტეტმა გაითვალისწინა რა ზალცბერგის ახსნა-განმარტება, რომ ტესტოსტერონი შედიოდა იმ წამლების შემადგენლობაში, რაც გეტერბორგის ტურნირის წინ მის ცხენს დაუნიშნეს ტრავმის გამო, ის მომდევნო ყველა შეჯიბრებაზე, მათ შორის ევროპის ჩემპიონატზეც, დაუშვეს, სადაც მხედარმაც და ბედაურმაც გაიმარჯვეს.

სტარტი ინგლისში კი არა — ესპანეთში

ასე გადაწყვიტეს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული დედამიწის გარშემო საოკეანო რბოლის Volvo Ocean Race – **ორგანიზატორებმა – 2005 წელს ისტორიაში პირველად ეს დიდი საოკეანო რბოლა ტრადიციულად ინგლისში კი არა, ესპანეთის პორტ ვიგოდან დაიწყება (2005 წლის 12 ნოემბერი).**

დედამიწის გარშემო რბოლაში 9 ეტაპი იქნება. მისი მონაწილეები შეელენ კეპტაუნში, მელბურნში, ახალ ზელანდიაში, რიო-დე-ჟანეიროში, ბალტიმორში, ნიუ-იორკში, სიუტჰემპტონსა და გეტერბორგში. „ფინიშის ლენტს" კი ჩაუშვებენ ბალტიის ზღვის ერთ-ერთ ნავსადგურში, რომელსაც ჯერ არ ასახელებენ.

დიეგო მარადონასთან — გახტანგურად?

ლეგენდარული ფეხბურთელი დიეგო მარადონა ჩინეთს გაემგზავრა. იგი შეხვდება პეკინის უნივერსიტეტის სტუდენტებს, მოინახულებს ჩინეთის დიდ კედელს, ითამაშებს გოლფს, ერთ დამეს კი დიდ წვეულებას გამართავს.

ამბობენ, რომ ვახშამი მთლიანად დაფარავს ამ მოგზაურობის ხარჯებს. ვინაიდან ყოველ ჩინელს შეეძლება მასზე დასწრება, რასაკვირველია ფულით. თუ იმ დროს დიეგოსთან ფეხურთის თამაში უნდა და ქეიფიც, 1200 დოლარი უნდა გადაიხადოს, ხოლო მხოლოდ მასთან დალევა – 375 დოლარი.

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ალბომი

ქეკლას რაიმე აქვს სახსოვარი

ისპასელ გგეკას ოჯახი. მარცხნიდან უფროსი ვაჟი ვახტანგ (დაღუპა მეორე მსოფლიო ომში), ისპასელი (დაღუპა მეორე მსოფლიო ომში), ქალიშვილი ოთხი (დაღუპა ბეგოვკაგასტროფაში), გაი აკაკი (მეწერაქვა) და შუაგული ოლღა (გარაჯეკელად დაიღუპა 1937 წელს ოთხთას ათვლებას). 1933 წელი. ქალაქი კიგეკი.

ეთერ მოცვაშვილი ბაბას მეხსიერ.

სოციუმი

ახალი ტყვირთად რომ არ იქცეს...

საქართველოს ურთულესი ეთნოპრობა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. სანამ შესული ადამიანების რიცხვის ფართობითი მაჩვენებელი მსოფლიოში მკვეთრად იზრდება, 2050 წლისთვის ყოველი მეხუთე ადამიანი მსოფლიოში 60 წელზე მეტი ხნის იქნება. ეს პერსპექტივა და მოსახლის მკვეთრი დაცემის გამო საქართველოს ამ მხრივ რახანია მიაღწია.

„ხიხუცეულობა – დეფიწყების ეპოქა საქართველოს განვითარების პროგრამებში" – ამ გლობალური პრობლემის მოკვლევას ისახავდა მიზნად. ახლახან „პორიზონტის" ფონდის ოფისში მათივე ინიციატივით და ამერიკის სამოგაღლებასთან ურთიერთობის სექციის მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიის წარმომადგენლებს შორის ჩატარებული შეხვედრა, სადაც გამოიკვეთა პრობლემათა სპექტრი, რაც ამ კატეგორიის ადამიანებს აწვას ტკივრად.

გეგრის პუმანიტარული დამპრების 2003 წლის სამუშაო დოკუმენტში მოხუცები ყველაზე პრიორიტეტულ ჯგუფს განეკუთვნებიან, მაგრამ სპეციალური სამსახურები, ფონდი უმხარება მოხუცებს სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათების მიღებაში, ასეთივე ქველმოქმედებას ეწევა ვარკეთილში მოქმედი ორგანიზაცია „სამაში", რომელიც 60 მოხუცს ასაღილებს უფასოდ, 180-ს კი ბაბონა და სამრეცხაო მომსახურებას უწევს.

500 მოხუცი ყოველდღე „სატარიულის კარგანის" სასადილოებში აკვებება, ორგანიზაციის გახსნილია რეგისტრირებული, სანამ შესულთა პრობლემებზე მაღალ მეორე ნაწილი ამახელებს ყურადღებას, რაც შეეხება თავად ამ ორგანიზაციების საქმიანობას, ისინი ვერ სცილდება მოხუცებულთა სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უმნიშვნელოვანეს, მთავარი პრობლემა – მოხუცებულთა სამედიცინო მომსახურება – კვლავ გადაუჭრელი რჩება.

შეხვედრაზე საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს სანდამშვილობა საკობებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ფონდი „შეხვედრების სახლი" 300 სანდამშვილს ეშსახურება, აგი აგარების სანიკარიული განაცილების კერსებს კარდიოლოგიური, ცერებრალური და ონკოლოგიური დაავადებების პრევენციისათვის, აქვე მუშაობს პინაზე მოვლის სამსახური, ფონდი ეხმარება მოხუცებს სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათების მიღებაში, ასეთივე ქველმოქმედებას ეწევა ვარკეთილში მოქმედი ორგანიზაცია „სამაში", რომელიც 60 მოხუცს ასაღილებს უფასოდ, 180-ს კი ბაბონა და სამრეცხაო მომსახურებას უწევს.

500 მოხუცი ყოველდღე „სატარიულის კარგანის" სასადილოებში აკვებება, ორგანიზაციის გახსნილი აქვს უფასო ამბულატორია, რომელიც თვეში 1000 პაციენტს ემსახურება, ხოლო 65 დაერლიმალს უხმარება მათი ბინაზე მოვლის სამსახური.

ფასდაუდებელია არასამთავრობო ორგანიზაციაცია „სავანეს" ღვაწლი, რომელიც არაერთი მშიმეფერელიანი ლონისძიების ხელსამშვილებელია ამ კატეგორიის ადამიანთა ცხოვრების ეასახლისებელად. მათი დახმარებით „სავანეს" წევრებს აქვს საავადმყოფოში შეუძლიათ ექიმის კონსულტაციის უფასო მიღება.

როგორია მოხუცებულთა რეალური სოციალური სტატუსი სანქართველოში და მათ მიმართ დასახული სახელმწიფო სოციალური პოლიტიკა? – არასამთავრობო ორგანიზაციის მოსაზრებით, სამწი შეხვედრაზე მოსახლეობა არის რესურსი და არა ტვირთი, მაგრამ ეშილ სამოკალების ტვირთად გადაიქცევა, თუ პოლიტიკა ამ ჯგუფის შესაძლებლობების გამოყენებაზე არ იქნება ორიენტირებული, თუ ყანდაცვა და შემოსავლის გამომუშავების შესაბამისი სამუალებები, ოჯახისა და თემის დამხმარე სისტემები სანდა ეს ჯგუფიც სანდა ეშეწიოს სანდა ეშეიქმნას ეკონომიკური ტვირთი.

სანდამშვილის საქვეყნიერო ღონისძიებაზე.

რედაქციის მიერ შეუკვეთები მასალების პუბლიკაციისთვის პრონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აბეჭდოს 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის ნაშრომები ნუ შემოგვთავაზებენ.

გაცხადება

თინა ჟორთიაშვილი

ზემი თანაკო! ხვალ შენი დაბადების დღეა. სამწუხაროდ, ვერ მამასანძლებ. მე კი გიხამაძისად შენგარში. მენაგარება შენი კეთილი ვული და შენი ხელით გაწყობილი სუფრა. ვუფერობ და ვერ ამხსნილა, რაკომ დაგეგროვე ახე ნაადრეულად. უშენოდ ხაოცრად გიიწყება ღრო გაბაფხულდან შემოდგომამდე. ერთადერთხანი გამდა დღეები, სადამოები კი მოსაწყენი. რადგან ყველანაი შენ დაგეკვეს, შენ ვულოდები. ვაი, რომ ხვალ უშენოდ უნდა შეეხვედ შენს დაბადების დღეს.

კალეგინებურად მოვეგარხარ შენი დაკეწერვარო მეგობარო!

ზემი დაიკო მშობარისა პიდუკაძე.

უახლესი გარდაცვლილი მეგობრების ჯგუნა ანჯაფარიძის, შერაზ ალექსიძის, ბიძინა ბოკერიას, შერაზ ბოკერიას, ვიოა გიმალიშვილის, დეკო ამხანაძის, გიგი მარღალიშვილის, გურამ ოქრუაშვილის, გურამ ქავთარაძის, ლეშნა ქარსულაძის, გურამ ჭყონდიდის, მანანა მეგრელიძის, მარინა კერხულიძის, ნანუდი დოღონაძისის ოჯახებს, ღრმა მწუხარებით ეუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოლიმ ჩაჩუა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით ეუწყება, რომ გარდაიცვალა

ოქრო აროშვილის ძე ჩაჩუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



მინდია სალუქვაძე, შერაზ ჩაგუნავა, თოთო გოცირიძე ოჯახებით მწუხარებით ეუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი უახლოესი მეკობარი, ღირსი ვრულიერებული პიროვნება, ჭეშმარიტი ქართველი სულხან-კვეთილების მამული

ოთარ ჭანტურია

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

საქართველოს მეწის მთავარს სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ნაკი და სანდრო შახოვების შამის

ოთარ ჭანტურიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, ალეკო ასლანიშვილი, ოთარ ხუციშვილი, სპარტაკ ქოპაღია, ვიღეკ მარდალეიშვილი თანაკუმრძნობენ ამირან დავითაძეს ძმის

ბაჯარ ჯაფიშვილის

გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპჯო ღრმა მწუხარებით ეუწყება, რომ გარდაიცვალა შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლით ეროვნული პატრის უფროსის, პოლკოვნიკ პოლკოვნიკ ალეკო გაბაგაძის მამა

ლევან გაბაგაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ზურაბ ბაკალია სამძიმარს უცხადებს ალეკო გაბაგაძეს შამის

გარდაცვალების გამო.

ირაკლი გინეგრაკა სამძიმარს უცხადებს ალეკო გაბაგაძეს შამის

გარდაცვალების გამო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამობეჯო ღეპარტამენტი სამძიმარს უცხადებს ალეკო გაბაგაძეს შამის

გარდაცვალების გამო.

შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელობა და პირადი შემადგენლობა თანაკუმრძნობენ ბაგონ ალეკო გაბაგაძეს შამის

ლევან გაბაბაური

გარდაცვალების გამო.

საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში მოკლულის და ოპერაციულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე მეღამხედველობის სამმართველო თანაკუმრძნობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიასა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსს ბაგონ ალეკო გაბაგაძეს შამის

ლევან გაბაბაური

გარდაცვალების გამო.

ეკიორი თავაზაძე ოჯახით თანაკუმრძნობს ალეკო გაბაგაძეს შამის

ლევან გაბაბაური

გარდაცვალების გამო.

ჯაამო ჭანტარია, თამაზ ცაბუკაშვილი სამძიმარს უცხადებენ ალეკო გაბაგაძეს შამის

ლევან გაბაბაური

გარდაცვალების გამო.

შეილები რამან და შერან ლიპარტიანი, და ნათელა ჯილალიანი, რძალი ნინო ჯახაძე, ლიზ'ცაკი შერან და ნუგზარ ჯილალიანები ოჯახებით ეუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლუსარა ლაზარიანი

პანაშვიდი 16, 17 XI, 4 სთ. დაკრძალვა 18, XI, 2 სთ. ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. №73, II სად.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამხვე პროკურატურის პროკურორის უფროს თანამშრომელ

მიხეილ ლეშკასავილის

გარდაცვალების გამო.

დამწყები მოდელიერის პირველი ნაბიჯები

მრავალშვილიანი ოჯახებიდან წასახალისებლად ჩატარდა ფოტოკონკურსი „ჩემი ოჯახი". ფოტოკონკურსში მონაწილეობა 17 ოჯახმა მიიღო. ნამუშევრების ნახვის შემდეგ ჟიურიმ გამარჯვებულები გამოავლინა. ესენი არიან ბოლნისის ოჯახები, რომლებიც ფოტოკონკურსის ორგანიზატორებმა დააჯილდოვეს.

ფოტოკონკურსის ორგანიზატორები ამბობენ, რომ ეს ნაბიჯი მხოლოდ პირველია და ამ ოჯახებთან ერთად ისინი სხვა ოჯახებსაც მოინახულებენ.

ფოტოკონკურსის ორგანიზატორები: ნინო ბურჭულაძე, ნინო ბერიძე, ნინო ჯაფარიძე, ნინო ბერიძე, ნინო ჯაფარიძე, ნინო ბერიძე, ნინო ჯაფარი